ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**ქართველმა მორაგბეებმა რუსებს 28:14 მოუგეს** გვ.12



13 მარტიდან

ეკა ჩიხლაძე

დასახვრეტი საქმე

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



ორშაბათი, 13 მარტი, 2017 №60 (7295) ფასი: 50 თეთრი

# სულხან ღლონტი: „ვერ დავიჯერებ, აჭარის პატრულის უფროსს ეთქვას ის, რასაც აბრალებენ“

გვ.4



„წარმოუდგენელია, ასე უცებ მოიტანო ტომრებით ქვები, საშენი მასალა და შემდეგ ეს ყველაფერი ერთობლივად ისროლო“





## „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი ქეიშვილს თავი გაუტეხეს

გვ.4

გვ.2

## მამუკა არეშიძე: „ბათუმის აქცია ნაციონალების მოწყობილია“





გიორგი ვაშაძე: „პოლიციის სისუსტე კარგად გამოჩნდა“



## „ბათუმის მოვლენები სპეცსამსახურებმა უნდა შეისწავლონ“

გვ.3

გია ხუხაშვილი: „ხელისუფლება თავისი განცხადებებით სააკაშვილს აძლიერებს“

## მერაბ ღოლობერიძე აღიარებს, რომ აჭარის საპატრულო პოლიციის წინააღმდეგ კამპანია მან დაიწყო

გვ.4





## ლალი აფციაური: „სტრასბურმა გადაწყვეტილება ნაციონალების ჩარევის შედეგად მიიღო“

გვ.7



## ანზორ წოწონავა: „კონსტიტუცია ან მთლიანად უნდა გადავასინჯოთ, ან მის გარეშე ვიცხოვროთ“

გვ.5

ISSN 1987-9385

# მამუკა არეშიძე: „ბათუმის აქცია ნაციონალების მოწყობილია“

ნონა ცაბაძე

ბათუმში განვითარებულ მოვლენებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გიორგი ვაშაძე და მამუკა არეშიძე აფასებენ.



## გიორგი ვაშაძე: „პოლიციის სისუსტე კარგად გამოჩნდა“



***– ბატონო გიორგი, როგორია თქვენი შეფასებები იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც აჭარაში განვითარდა?***

– იმ ძალადობას, რომელიც ბათუმის ქუჩებში ხდებოდა, არ არსებობს ვინმე ადეკვატური ადამიანი, რომ მხარი დაუჭიროს. პირიქით, ამ ყველაფერს ნეგატიურად ვაფასებ. აქ მთავარი რამ არის გასაკეთებელი.

***– კერძოდ?***

– მოხდეს სრულფასოვანი და გამჭვირვალე გამოძიება. ეს უპრეცედენტო ფაქტია, რაც ქვეყანაში მოხდა. ამაში ჩართული უნდა იყვნენ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, სახალხო დამცველი და მაქსიმალურად გამჭვირვალედ უნდა მიმდინარეობდეს, რომ არცერთმა იმ ადამიანმა, რომელიც თავიდან თუ შემდგომ პერიოდში მონაწილეობს ამ აქციაში, არ იგრძნოს თავი დაჩაგრულად მძლავრი სახელმწიფო მანქანის წინაშე.

თუ ჩვენ ამ გრძნობას გავუჩენთ ამ ადამიანებს, შეიძლება, კიდევ უფრო სერიოზული აფეთქება მოჰყვეს ამ ყველაფერს. ამიტომ უნდა იყოს ძალიან სანდო გამოძიების პროცესი ამ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელიც დაადგენს ყველა ბრალეულობას.

***– ეს იყო ვანდალიზმი. რას უკავშირებთ ასეთ აგრესიულ პროტესტს?***

– შემთხვევით არაფერი ხდება. რაღაცასთან არის ყველაფერი დაკავშირებული. შეიძლება, ეს იყო დაგროვილი ნეგატიური მუხტი, რომელმაც აფეთქება ჰპოვა ამ კონკრეტულ შემთხვევაში. დღეს მთავარი საკითხი არის ის, რომ ამ საქმის გამოძიება უნდა მოხდეს, პირველი ინციდენტიდან დაწყებული, თუნდაც პრეისტორიიდან, ამის მსგავსი რა ინციდენტები ხდებოდა აჭარაში სამართალდამცავ ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის.

***– ხელისუფლება აქ ნაციონალების კვალს ხედავს. ამაზე რას იტყვით?***

– ეს სტანდარტული განცხადებაა ხოლმე ხელისუფლების მხრიდან, რომ სხვის მხარეს გადაისროლოს პასუხისმგებლობა. არა მგონია, სწორი იყოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ან თუნდაც საჯარო მოხელეების მხრიდან მსგავსი განცხადებების გაკეთება. თუ ამას დაადგენენ, კი ბატონო, გვითხრან კონკრეტული ფაქტები და ამას ყველა ნეგატიურად შეაფასებს.

***– რას იტყვით სამართალდამცავი უწყებების რეაგირებაზე?***

– იყო ძალიან სერიოზული დაბნეულობა. კიდევ ერთხელ ვნახეთ, რომ სამართალდამცავი ორგანოები საკმაოდ სუსტი და მყიფეა. სწრაფი გადაწყვეტილებები არ იყო მიღებული. ეს იყო სერიოზული პრობლემა.

***– უფრო ხისტი უნდა ყოფილიყო, ისეთი, როგორიც იყო თქვენ დროს?***



– მე მაგას არ ვამბობ. თუნდაც პირველი დაშლის პროცესი. პირდაპირ ეთერშიც მიდიოდა ეს ყველაფერი. პირველად ძალის გამოყენება და მათი დაშლა სწორედ სამართალდამცავმა ორგანოებმა ცადეს.

***– არ უნდა მოქცეულიყვნენ ასე სამართალდამცავი ორგანოები. აბა, შორიდან ეყურებინათ?***

– იმ დაძაბულ სიტუაციაში რამდენად სწორი იყო ამ მექანიზმების გამოყენება, ეს კიდევ ცალკე კითხვის ნიშანია, თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ ძალიან მომეწონა თუნდაც ის განცხადებები, რომლებიც მიდიოდა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან, რომ ფიზიკურად არ სცემოთ, არავის დაარტყათ და ასე შემდეგ. ეს იყო ძალიან კარგი. ამას მართლაც ვაღიარებ და მოწოდების სიმაღლეზე იყო ამ შემთხვევაში, მაგრამ, მეორე მხრივ, მოქალაქეებს გარკვეული დაუცველობის განცდა გაუჩნდათ. სამართალდამცავი უწყებები სიტუაციას ვერ აკონტროლებდნენ. ეს უკონტროლო სიტუაცია ნებისმიერ წუთსა და ნებისმიერ ადგილას შეიძლება მოხდეს.

***– თან მოგწონთ სამართალდამცავი უწყების ქმედებები, თან აკრიტიკებთ. რა უნდა ექნათ?***

– სიტუაციის ესკალაცია დაიწყო სწორედ მაშინ, როცა სამართალდამცავებმა ამ აქციის დაშლა დაიწყეს. ყოფილიყვნენ იმ ადგილზე, ჩაეტარებინათ აქცია. თუ ათავისუფლებდნენ იმ ექვს ადამიანს, ისინი გამოვიდოდნენ და ამით ეს მუხტი ნელ-ნელა მინელდებოდა და ჩაქრებოდა. ამ უეცარ ესკალაციას შემდეგ უეცარი უკანდახევა მოჰყვა სამართალდამცავების მხრიდან, რამაც ხალხს სერიოზული ესკალაციისკენ უბიძგა.

◆ ◆ ◆

**მამუკა არეშიძე:**

– მთელი ღამის განმავლობაში კავშირი მქონდა ჩემს კოლეგებთან, რომლებიც ძალიან კარგი სპეციალისტები, ექსპერტები და პოლიტოლოგები არიან. ეს ადამიანები მთელი ღამე ქუჩაში იყვნენ, რათა მონიტორინგი ჩაეტარებინათ. ისინი მეუბნებოდნენ, რომ ეს არის ორგანიზებული აქცია და ამ აქციის სათავეში ჩანან ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი ბიუროს წარმომადგენლები და აჭარის უზენაესი საბჭოს წევრები, რომ ეს აქტივისტები ხალხს აბუნტებდნენ და აჭარის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოჰყავდათ ადამიანები.

***– ანუ წინასწარ იყვნენ მობილიზებულნი?***

– დღეს მაგის მტკიცებას ვერ დავიწყებ. ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ამბავი, რომელიც მოხდა მოქალაქესა და პატრულს შორის, მერე გადაიქცა უკვე პოლიტიკურ აქციად. აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ აჭარის პატრულის ზოგიერთი თანამშრომელი როგორ იქცევა და რას აკეთებს, გონზე არ არის.

***– ძველი კადრები მიზანმიმართულად მიდიან პროვოკაციაზე?***

– ყოფილნი არიან თუ ახლანდელნი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ისინი დღეს არიან თანამშრომლები და ყველაფერზე ხელისუფლება აგებს პასუხს, რადგან ესენი მათ სისტემაში არიან. დღეს პატრულში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ზედმიწევნით იცავენ პატრულის დებულებას და არიან ისეთებიც, რომლებიც გაგებაში არ არიან, სად არიან. ამიტომ მე არ გამოვრიცხავ, რომ პატრულის კონკრეტული გადაცდომაც გამოიკვეთოს. მე არც ის მიკვირს, რომ განსაკუთრებული ანტაგონიზმია ადგილობრივი პატრულის მიმართ. შესაძლოა, ის გამონათქვამები, რომლებსაც მათ მიაწერენ, მართლა ყოფილიყო. არც ის არის გამორიცხული, სპეციალურად ქმნიდნენ ასეთ სიტუაციას.

***– ანუ, არ არის გამორიცხული, რომ დაძაბულობის კერა ხელოვნურად იქმნებოდეს?***

– უფრო ეს სიტუაციაა. იმდენად გათახსირებულია მავანი, ვინც ეს ყველაფერი გააკეთა, რომ არ უფრთხილდება იმ მყიფე მდგომარეობას, რომელშიც დღეს აჭარაა.

***– რა მდგომარეობაშია?***

– ეს ხომ არ არის იმერეთი! ეს აჭარაა! მას უყურებს უამრავი ხარბი თვალი და არა მხოლოდ რუსეთიდან, იმავე თურქეთიდან. ნურც ყარსის ხელშეკრულება დაავიწყდება ნურავის. ამ რეგიონში ძალიან ფაქიზი მდგომარეობაა და იქ ასეთი თამაშები არ ივარგებს!

***– ის, რაც ვერ შეძლეს ნაციონალებმა თბილისში, გამოუვიდათ ბათუმში?***

– რა თქმა უნდა, გამოუვიდათ. მათ მიაღწიეს იმას, რომ საკუთარი ძალის დემონსტრირება მოახდინეს. აჩვენეს, რომ არაფერზე უკანდამხევები არ არიან. მე გამახსენდა გლდანის ეკლესიის დარბევა. მაშინ საზოგადოებაში გარკვეული ანტაგონიზმი არსებობდა როგორც წინა ხელისუფლების, ისე კონკრეტულად იმ სასულიერო პირის მიმართ, რომელიც ეკლესიისგან განკვეთილი იყო. საზოგადოებამ მაშინ კარგად ვერ გააცნობიერა, რა მოხდა. სინამდვილეში მაშინ ნაციონალურმა მოძრაობამ მოახდინა ძალის დემონსტრირება და თქვა, რომ არაფრის წინაშე უკანდამხევი არ არის! დაახლოებით ასეთი რამ ხდებოდა ბათუმში.

***– ითქვა ისიც, რომ აქციაში მონაწილეების დიდი უმრავლესობა ბათუმელი არ იყო.***

– დიახ, მათი უმრავლესობა არაბათუმელი იყო. ისინი ჩამოყვანილი იყვნენ რაიონებიდან. გარდა ამისა, იქ აქტიურობდნენ როგორც თავისუფალი ზონის წევრები, ისე აჭარის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები. მათ წინასწარ ჰქონდათ მომარაგებული საბრძოლო იარაღი, ქვებით სავსე ტომრები და მოლოტოვის კოქტეილები.

***– ანუ ეს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი?***

– სწორედ მაგას ვამბობ. ესენი მომზადებული იყვნენ ასეთი ტიპის აქციისთვის. ეს მზადება დიდი ხანია შეინიშნება. მათ რომ წინასწარ ჩაუტარდათ იდეოლოგიური მომზადება, კარგად ჩანდა. როგორც ჩანს, წვრთნებიც გავლილი ჰქონდათ. თავის დროზე ნინო ბურჯანაძე იმ ჯოხებს გადააყოლეს, რომლებიც თავის დასაცავად მიიტანეს აქციაზე და აქ, როგორც გამოჩნდა, მთელი არმია ყოფილა მომზადებული.

***– ნაციონალური მოძრაობა, პირიქით, ხელისუფლებისკენ იშვერს ხელს და რუსულ კვალზეც საუბრობს. ამაზე რას იტყვით?***

– რა განცხადებებიც არ უნდა აკეთოს დღეს ნაციონალურმა მოძრაობამ და რა განცხადებებიც უნდა ეკეთებინა გუშინ, ძალიან კარგად ჩანდა, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან! თუ რუსების მიერ არის ეს ყველაფერი ორგანიზებული, მაშინ აფერუმ რუსებს, თუ ისე არიან საქართველოში ფეხმოკიდებულნი, რომ შეუძლიათ, ამხელა აქციები და არეულობა მოაწყონ. მაშინ სახელმწიფო არ გვქონია!

***– ხელისუფლებას ბევრი საყვედურობს, რომ მათი ქმედება უფრო ადეკვატური უნდა ყოფილიყო. რას იტყვით თქვენ?***

– ერთი მხრივ, გეთანხმებით, ხელისუფლებამ მიუშვა პროცესი და ამ პროცესის მერე ხელში დაჭერა ძალიან რთულია, თუმცა, საბოლოო ჯამში, მაინც მოხერხდა ამ პროცესის ლოკალიზება. კი, ცუდია, რომ პროცესი მიუშვა, თუმცა, მეორე მხრივ, რეალური სახე გამოჩნდა იმ ძალისა, რომელიც ამ აქციის უკან იდგა! ფაქტობრივად, ნაციონალების ორგანიზატორობით შემდგარმა აქციამ დაანგრია ქალაქის ცენტრი და ეს ყველამ დაინახა!

## ჯიმი ვარშანიძე: „გამოგვიშვეს. არავის ვუცემივართ“



12 მარტს, დილით, ბათუმში დაკავებული ექვსივე პირი გაათავისუფლეს. ისინი 13 მარტს სასამართლოში დაიბარეს.

მათ შორის იყო ჯიმი ვარშანიძეც, რომლის ინციდენტმაც სათავე დაუდო არეულობას ბათუმში.

– მოვდიოდით მე და მამაჩემი ჩემი ძმის სასაფლაოდან, გავაჩერე აფთიაქის წინ, ავარიული ჩართული მქონდა, ძრავი არ მქონდა გათიშული, პატრული მომადგა და ავუხსენი, გთხოვთ გამიშვით-მეთქი, შეიძლება მეც ავღელდი და რაღაც ვუთხარი, მამაჩემსაც ვაწყნარებდი.

დაგვაკავეს, არავის ვუცემივართ, გამოგვიშვეს. დაკავების დროს ძალით ჩაგვსვეს მანქანაში, იზოლატორში ყველაფერი რიგზე იყო, იქიდან რომ გადმოგვიყვანეს არაფერი მომხდარა. ბევრი ამბობს, რომ მკაცრად აჯარიმებენ ხალხს, – განაცხადა ჯიმი ვარშანიძემ აჭარის ტელევიზიის ეთერში.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ბათუმის მოვლენები სპეცსამსახურებმა უნდა შეისწავლონ“

შორენა მარსაგიშვილი

ვისთვის იყო ტესტი 11-12 მარტის ბათუმის მოვლენები, რატომ დააგვიანა ხელისუფლებამ რეაგირება, რატომ გამოჩნდნენ მივიწყებული სახეები, რატომ უნდა დაანებოს თავი „ოცნებამ“ უკრაინისკენ ხელის გაშვერას, მოსალოდნელია თუ არა სოციალური ბუნტი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.






## გია ხუხაშვილი: „ხელისუფლება თავისი განცხადებებით სააკაშვილს აძლიერებს“

***– 11-12 მარტის არეულობის მოწყობას „ქართული ოცნება“ ყოფილ ხელისუფლებას აბრალებს. თქვენი აზრით, შეეძლო სააკაშვილს ამ მოვლენების ორგანიზება?***

– ბათუმის არეულობა ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც პოლიტიკურ პრიზმაში გადაჰყავს, რაც არასწორია. რაც ბათუმში მოხდა, ეს არის სოციალური აფექტის გამოვლინება, რომელიც შემდეგ პოლიტიკურად შეიფუთა. რეალურად ამ ყველაფრის მიზეზი გახლავთ ის სოციალური რისკები, რაც ისევეა აჭარაში, როგორც დანარჩენ საქართველოში.

დღეის მდგომარეობით, საშუალო სტატისტიკური ქართველი არის გაკოტრებული, შესაბამისად, დაძაბული. ნებისმიერი მცირედი წყენაც კი, შესაძლოა, ხელისუფლების მიმართ სერიოზული აგრესიის მიზეზი გახდეს.

სოციალური აფექტით დაწყებულ არეულობას მოგვიანებით სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ და შეეცადნენ, სოციალური პროტესტისთვის მათთვის სასარგებლო მიმართულებები მიეცათ.

ხელისუფლების დიაგნოზი, რომ ეს თავიდან ბოლომდე პოლიტიკაა, პრობლემის ზედაპირული გაგებაა და, საბოლოო ჯამში – არაფრის მომცემი. „ქართული ოცნება“ მიიჩვია იმას, რომ ყველაფერზე ხელს იშვერს კიევისკენ. ისეთ სურათს ხატავენ, თითქოს ყველაფერს მიხეილ სააკაშვილი მართავს უკრაინიდან. ისეთ სურათს ხატავენ, თითქოს მიშას გარდა მეტი პრობლემა არ არის. გარდა იმისა, რომ ასეთი განცხადებებით ხალხს შეურაცხყოფენ, საკუთარ თავსაც აზიანებენ.

***– საკუთარ თავს რანაირად აზიანებენ?***

– ყველაფერს რომ სააკაშვილს აბრალებენ, ამით ერთი არაადეკვატური ადამიანის უძლეველობის მითს აძლიერებენ. ამ პოლიტიკური რიტორიკით „ოცნება“ სააკაშვილს აძლიერებს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხელისუფლებას სურს, ყველა პრობლემას ნაციონალების პრიზმაში უყუროს. ადრე თუ გვიან ხელისუფლებას ეს არასწორი დიაგნოზი ძალიან ძვირად დაუჯდება.

***– ამ პროცესებში ყოფილი ხელისუფლების ხელი საერთოდ არ ურევია?***

– სოციალური უკმაყოფილება რომ არ ყოფილიყო, ის, რაც ბათუმში მოხდა, არ მოხდებოდა. მთავარი პრობლემა მიშა სააკაშვილი კი არა, ტოტალური უმუშევრობაა. ადამიანები არიან დაზაფრულები და მცირე ინციდენტსაც კი შეუძლია, ვითარება ააფეთქოს.

***– ტოტალური უმუშევრობაა მთელ საქართველოში. შესაძლოა თუ არა ასეთივე პროცესების ხილვა სხვა რეგიონებში?***

– ეს ყველგან შეიძლება განმეორდეს, რის გამოყენებასაც ყველგან შეეცდებიან პოლიტიკური პარტიები.

***– რამდენად ადეკვატური იყო ხელისუფლების რეაქცია ამ აქციაზე? ზოგი ამბობს, რომ ხელისუფლებამ გადაამეტა, ზოგი მიიჩნევს, რომ უფრო მკაცრი მოქმედებები იყო საჭირო.***

– „ქართული ოცნება“ წინა ხელისუფლებას რომ სჯობია, ეს ამ აქციიდანაც გამოჩნდა. ნაციონალური მოძრაობა ასეთი აქციების დროს არა დანაშაულის აღკვეთის ოპერაციას, არამედ წმინდა წყლის სადამსჯელო, საჩვენებელ ღონისძიებებს ატარებდა. მათ დროს შეგნებულად ხდებოდა ძალის გადამეტება. ცდილობდნენ, ისე დაესაჯათ ადამიანები, რომ მეორედ არავის აღარ გაებედა პროტესტის გამოხატვა.

მოქმედი ხელისუფლება ცდილობს, რომ არა სადამსჯელო, არამედ აღკვეთის ღონისძიებები გაატაროს, რაც უდავოდ მისასალმებელია. სხვა საკითხია, რამდენად ეფექტურად გამოსდით ეს. ის ფაქტი, რომ ადამიანების დასჯა პოლიტიკური დაკვეთა არ არის, უკვე სერიოზულია პოზიტივია.

***– თქვენ ვარაუდობთ, რომ ის, რაც ბათუმში მოხდა, შესაძლოა, მთელი ქვეყნის მასშტაბით განმეორდეს. გამოიტანენ რაიმე დასკვნას ბათუმის მოვლენებიდან?***

– ამას ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ. წინა ხელისუფლებების მსგავსად, ესენიც ვერ სწავლობენ შეცდომებზე. სხვის შეცდომებზე სწავლას ვინ ჩივის, საკუთარზეც არაფრის სწავლა არ უნდათ. დასკვნების გამოტანა საერთოდ არ უნდათ. ჰუმანური ბუნება კი აქვს „ქართულ ოცნებას“, მაგრამ ტლაპოში ჩახტომისკენ არის მიდრეკილი. რაღაცას დაიწყებენ, მერე ის ბოლომდე ვერ მიჰყავთ, რაც, საბოლოო ჯამში, სერიოზულ პრობლემად იქცევა ხოლმე.

ამის მაგალითად ბოლო ერთი თვის განმავლობაში განვითარებული მოვლენები შეიძლება მოვიყვანოთ. ციანიდის საქმე არათუ არ დაიხურა, არამედ კითხვების რაოდენობა ყოველდღე იზრდება. რუსთავი 2-თან დაკავშირებით ხელისუფლებამ სრული ფიასკო განიცადა, ამის გარდა, მოხდა სასამართლო სისტემის სრული პარალიზება.

***– ერთ-ერთი ვერსიით, ბათუმის არეულობა სწორედ ამ მოვლენების გადაფარვას ისახავდა მიზნად. ამ ვერსიის ავტორებს არგუმენტად ის მოჰყავთ, რომ ხელისუფლებამ აქცია მანამ არ დაშალა, სანამ ლამის მთელი ქალაქი არ გადაწვეს. ამაზე რას ფიქრობთ?***

– შეთქმულების თეორიების განვითარება არ მიყვარს და არც ამ შემთხვევაში ვაპირებ ამის გაკეთებას, თუმცა რაღაც კითხვები მაინც ჩნდება.

***– რა კითხვები?***

– ამ პროცესში ზოგიერთი ისეთი ადამიანი გამოჩნდა, რომლებიც, პრაქტიკულად, უკვე დავიწყებული გვყავდა. მათი მხრიდან საკმაოდ უცნაური განცხადებებიც მოვისმინეთ.

***– დავიწყებულ ადამიანებში ყოფილ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს გულისხმობთ? მის განცხადებას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა.***

– არა მხოლოდ ღარიბაშვილს, იქ სხვა ადამიანებიც გამოჩნდნენ. ისინი ამ ამბებთან არაფერ შუაში არ იყვნენ, მათი განცხადებებიც არაფრისმთქმელი იყო, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს, თავიანთი სიტყვა ეთქვათ.

ამის მიუხედავად, შეთქმულების თეორიას არ განვავითარებდი, ამასთან, მიმაჩნია, რომ ეს ამბავი სპეცსამსახურებმა კარგად უნდა შეისწავლონ, დაადგინონ, რა პროცესში რა დაიბადა. თავიდან ეს ყველაფერი სპონტანურად დაიწყო, მაგრამ, შემდეგ რაც მოხდა, სპეცსამსახურებისთვის საინტერესო უნდა იყოს.

არ გამოვრიცხავ, რომ ამ პროცესებში აქტიური როლი სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებმაც ითამაშეს.

***– ფიქრობთ, რომ მათ გაამწვავეს ვითარება?***

– არაფერი არ არის გამორიცხული. ეს იმისთვის კი არ გაკეთდა, რომ რაღაც აეგორებინათ, არამედ ამით ხელისუფლებას ერთგვარი ტესტი ჩაუტარეს. მათთვის საინტერესო იყო, როგორ იმოქმედებდა საქართველოს ხელისუფლება ამა თუ იმ სიტუაციაში.

***– რა აჩვენა ამ ტესტირებამ, შეუძლია ხელისუფლებას, კრიზისებს გაართვას თავი?***

– ტესტირების შედეგი ცუდი არ არის. საბოლოო ჯამში, ხელისუფლების ქმედებები ნორმალური იყო. ყველაზე მეტად მომეწონა, რომ მათ უარი თქვეს აქციის მონაწილეების წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციის ჩატარებაზე. ეფექტურობასთან და დროულ მოქმედებასთან დაკავშირებით კი ნამდვილად არის კითხვის ნიშნები. ამ მიმართულებით ხარვეზები იყო.

11-12 მარტის მოვლენებს აუცილებლად სჭირდება ანალიზი. დიდი იმედი არ მაქვს, რომ მინდია ჯანელიძე და ჭიკაიძე ამას გააანალიზებენ. იმედია, ვიღაც გამოჩნდება, ვინც ამას შეძლებს.

## კვირიკაშვილი: „საქართველოში აბსოლუტურად დესტრუქციული ოპოზიციის ნაწილია“

– საქართველო არის ქვეყანა, რომელშიც არის აბსოლუტურად დესტრუქციული ოპოზიციის ნაწილი, რომელიც არად დაგიდევს ქვეყნის სტაბილურობას, ჩვენი მოქალაქეების უფლებას, იცხოვრონ მშვიდად.



ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბათუმში, პოლიციის სამმართველოს ეზოში გუშინ, 12 მარტს, განუცხადა.

მისი თქმით, ოპოზიციის ეს ნაწილი ადამიანების ყველაზე სათუთ გრძნობებსაც კი იყენებს იმისთვის, რომ საკუთარ მიზანს მიაღწიოს.

რაც შეეხება ჟურნალისტების შეკითხვას, თუ რომელ ოპოზიციურ პარტიებს გულისხმობს გიორგი კვირიკაშვილი ამ განცხადებაში, პრემიერის თქმით, „ეს ყველამ კარგად იცის“.

– შეფასება არის ერთმნიშვნელოვანი, რომ ეს არის ქვეყანა, რომელშიც არის ძალიან კონსტრუქციული, ქვეყნის მოყვარული მთავრობა, რომელიც ზედმიწევნით იცავს ჩვენი მოქალაქეების უფლებებს და სტაბილურობას. ასევე, ეს არის ქვეყანა, რომელშიც არის აბსოლუტურად დესტრუქციული ოპოზიციის ნაწილი, რომელიც არად დაგიდევს ქვეყნის სტაბილურობას, ჩვენი მოქალაქეების უფლებას, იცხოვრონ მშვიდობიან ქვეყანაში და იყენებს ყველაზე სათუთ გრძნობებსაც კი იმისთვის, რომ საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს მიაღწიოს. ეს არის სიმართლე, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, ოპოზიციის მიზანია – ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა, ოღონდაც ისინი იყვნენ ხელისუფლებაში.

**ინტერპრესნიუსი**

## ნაციონალური მოძრაობა: „ბათუმის დარბევის უკან სუს-ისა და ასლანის ნარჩენების ხელი იკვეთება“

გუშინ, 12 მარტს, ნაციონალური მოძრაობის ოფისში ბათუმში განვითარებული მოვლენების შესახებ ბრიფინგი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზაზა ბიბილაშვილმა გამართა, რომელმაც მომხდარში პოლიტიკური პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დააკისრა.

– ქვეყანაში არის უსამართლობის უზარმაზარი განცდა, არის ტოტალური უიმედობა, უპერსპექტივობის განცდა, რისი შედეგიც არის ის, რომ ასეთი უბრალო, საყოფაცხოვრებო ინციდენტი გადაიზარდა სახალხო პროტესტში. ადამიანთა პროტესტს რაც შემდეგ მოჰყვა, არის ძალიან უცნაური და ბადებს ძალიან ბევრ კითხვას.

უცებ საიდანღაც გაჩნდნენ ნიღბიანები, გაჩნდნენ ხულიგნები, რომელთაც დაიწყეს დარბევა, ვანდალიზმი, ბათუმის გადაწვა, მშვიდობიანი პროტესტი გადაიზარდა ორგანიზებულ და წინასწარ კარგად დაგეგმილ ანტისახელმწიფოებრივ, ძალადობრივ აქციაში.

ყველა გონიერი ადამიანისთვის ნათელია, გამომდინარე იმ ლოზუნგებიდან და გამონათქვამებიდან, რომლებიც აქციაზე ისმოდა, რომ ამ ყველაფრის უკან დიდი ალბათობით იკვეთება სუს-ის და ასლანის ნარჩენების ხელი. რომელიც ყოველთვის იყო ივანიშვილის ყველაზე მთავარი მოკავშირე აჭარაში, – განაცხადა ზაზა ბიბილაშვილმა.

ნაციონალური მოძრაობა კატეგორიულად მოითხოვს, რომ ღიად და გამჭვირვალედ იქნას გამოძიებული გუშინდელი მოვლენები და კანონის სრული სიმკაცრით დაისაჯონ მათი ორგანიზატორები.

ბიბილაშვილი აცხადებს, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება მოქმედ ხელისუფლებასა და ივანიშვილის რეჟიმს.

მისი აზრით, საეჭვოა ისიც, რომ 10 საათის განმავლობაში ხელისუფლება სრულიად უმოქმედო იყო და მიუშვა მოვლენები, რომლებიც ვანდალიზმში გადაიზარდა, რათა ყოველივე ეს ნაციონალური მოძრაობისთვის გადაებრალებინა.

– არავის გამოუვა, რომ ნაციონალური მოძრაობა გააიგივოს უკანონობასთან, ვანდალიზმთან და იმ უმსგავსობასთან, რომელიც გუშინ ხდებოდა. ნაციონალური მოძრაობა არის ის ძალა, რომელმაც შექმნა თანამედროვე ქართული სახელმწიფო და ჩვენ არანაირად არ მივიღებთ შენიშვნას იმ მოღალატე ძალისგან, რომელიც არის „ქართული ოცნება“, თითქოს ჩვენ რიტორიკის დონეზე მაინც, ოდესმე დავაზიანებთ იმას, რაც ჩვენივე შექმნილია, – განაცხადა ზაზა ბიბილაშვილმა.



**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

2017, 13 მარტი, №60

# სულხან ღლონტი: „ვერ დავიჯერებ, აჭარის პატრულის უფროსს ეთქვას ის, რასაც აბრალებენ“

ნათია ხურცილავა

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტი 11-12 მარტს ბათუმში განვითარებული მოვლენების თვითმხილველია. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ის აჭარის დედაქალაქში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.



***– ბატონო სულხან, აქციაზე იყავით?***

– როდესაც აქციაზე პროცესების ესკალაცია დაიწყო, ბუნებრივია, ყველანი მივედით, რომ ვითარება დაგვემშვიდებინა, მაგრამ ადგილზე ძალიან მძიმე სურათი დაგვხვდა. აქციის ეპიცენტრთან ძალიან ახლოს არის რესპუბლიკური საავადმყოფო, სადაც ძალიან ბევრი დაშავებული ადამიანი გადაჰყავდათ, მათ შორის ერთ-ერთი ჩემი მეგობრის, ირაკლი ჭეიშვილის, გადაყვანაც მოგვიხდა, რომელსაც სახის ძვლის მოტეხილობები აქვს. ის უკვე თბილისში გადაყვანილი საოპერაციოდ.

***– როგორ ვითარდებოდა მოვლენები?***

– ძალიან კარგად ვიცი ბათუმის ბუნება. ბათუმელი ვარ და ჩემი გვარი, ჩემი წინაპრები, ერთ საუკუნეზე მეტს ითვლიან ბათუმში. ამას იმიტომ ვამბობ, რომ კარგად ვიცი ამ ქალაქის ბუნება. ბათუმელებს თავიანთი ქალაქი უყვართ, რაღაცნაირი ტრადიციაა, ბათუმელობა ერთ დიდი ოჯახად ყოფნას ნიშნავს. ამ დროს უცებ ეს ბარბაროსობა, რაც საკუთარი თვალით ვნახე, შეუძლებელია, ასე სპონტანურად განვითარებულიყო.

2003 წლიდან არ ყოფილა არცერთი სერიოზული საპროტესტო აქცია, რომელშიც მონაწილეობა არ მიმელო, როგორც პოლიტიკოსს, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრს, მაგრამ მსგავსი რამ არასდროს მომხდარა ბათუმში. ბათუმი ძალიან მშვიდი ქალაქია, ასეთ მკვეთრ მოძრაობებს არასდროს აკეთებს. მერწმუნეთ, ბათუმში 100 ადამიანის შეკრებაც კი, ნებისმიერი მიზეზით, ურთულესი ამოცანაა. როდესაც ასეთი მობილიზება ხდება, ძალიან რთულია, ამას სპონტანური უწოდო. მე ვფიქრობ, რომ ამ ყველაფრის უკან ძალიან სერიოზული კვალი იკვეთება.

***– გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ თქვენ რა ეჭვი გაქვთ?***

– რამდენიმე ასპექტი აქვს ამ ყველაფერს. დიდი ხნის განმავლობაში ძალიან სენსიტიურ თემებთან დაკავშირებით განცხადებები კეთდებოდა. ეს განცხადებები ძალიან მძიმედ იყო ხოლმე აღქმული. 90-იან წლებში ერთხელ უკვე მოხდა ფაქტი, როდესაც მაშინდელი შინაგან საქმეთა სამინისტრო დაარბიეს. ეს იყო მაშინ გოგებაშვილის ქუჩაზე. დღესაც, რატომღაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარ სამმართველოსთან განვითარდა მოვლენები. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს ერთმანეთს თავისი მდგომარეობით, ძალისმიერი მეთოდებით. მეტიც, ადამიანების დიდი ნაწილი, რომლებიც აქციაში იღებდნენ მონაწილეობას, ჩემი ინფორმაციით, ბათუმელები არ იყვნენ.

***– საიდან იყვნენ?***

– სხვადასხვა ქალაქიდან, სხვადასხვა რაიონიდან. სრულიად უცნობები იყვნენ ეს ადამიანები. განცხადებებიც კი მოვისმინეთ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების, ახალგაზრდული ორგანიზაციების რადიკალური ნაწილიდან, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ეს იყო პროვოკაცია. ამ ადამიანებს ჩვენ მხოლოდ ტელევიზიებიდან ვიცნობთ. როდესაც მოვლენების მთელ ჯაჭვს ვაგებ, ჩემთვის ერთადერთი, რაც იკვეთება, არის ის, რომ ეს იყო ძალიან კარგად მართული პროცესი.

***– რა გაძლევთ ამ დასკვნის საფუძველს?***

– წარმოუდგენელია, რომ ასე უცებ მოიტანო ტომრებით ქვები, საშენი მასალა, შემდეგ ეს ყველაფერი ერთობლივად დაუშინო. ასევე ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოსთან ასე გარისკონ ადამიანებმა, რომ ეს ყველაფერი ჩაიდინონ, ეს ბუნებრივად არ მეჩვენება. თუმცა, მე აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ სულაც არ გამოვრიცხავ, რამდენიმე ათეული ადამიანი იყო, რომელიც გულწრფელად აპროტესტებდა.



**„წარმოუდგენელია, ასე უცებ მოიტანო ტომრებით ქვები, საშენი მასალა და შემდეგ ეს ყველაფერი ერთობლივად ისროლო“**

***– აჭარის საპატრულო პოლიციის უფროსმა, რომელიც წარმოშობით გორიდან არის, აჭარლების მიმართ შეურაცხმყოფელი გამონათქვამი მართლა გამოიყენა? დამადასტურებელი ჩანაწერი არ არსებობს, მაგრამ თქვენ თუ გსმენიათ თუნდაც თქვენი მეგობრებისგან, რომ ისინი ნაწყენი არიან?***

– ამის დამადასტურებელი ფაქტი არ არსებობს. ამიტომ მგონია, რომ ეს წმინდა წყლის პროვოკაციაა.

***– გამორიცხავთ?***

– გამოვრიცხავ ერთადერთი ლოგიკური მიზეზით. ასეთი მაღალი რანგის ჩინოვნიკი, სამხედრო, პოლიციელი ასეთ ანტისახელმწიფოებრივ განცხადებას აკეთებდეს, უბრალოდ, შეუძლებლად მიმაჩნია. თუ მართლაც გაკეთდა ეს განცხადება, ამის წარმოდგენაც არ მინდა. თუ ასეთ განცხადებას მსგავსი სტატუსის მოხელე გააკეთებს, ვინც უნდა იყოს, ის არის პროვოკატორი, საკუთარი ქვეყნის მტერი. ამიტომ, აბსოლუტურად გამოვრიცხავ ამ განცხადებას.

მე არ ვიცნობ პირადად ამ ადამიანს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ჩვენს სახელმწიფოში იმ დონეზეა სახელმწიფო ინსტიტუტები განვითარებული, რომ როდესაც ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ინიშნება პირი, ის ყველა ნორმას აკმაყოფილებს.

მე, როგორც ბათუმელი, ძალიან დაინტერესებული ვარ, გაირკვეს, ითქვა თუ არ ითქვა ეს. ჩვენ ამდენი ხნის განმავლობაში ვითხოვთ ამის გარკვევას, მაგრამ რეალურად ვერავინ ვერაფერს გვეუბნება. ზუსტად ისევე შეიძლება, ჩემზეც თქვან, მეც დამაბრალონ რაღაც და შემდეგ ეს ვილაცამ კარგად გამოიყენოს სათავისოდ. ამიტომ, შეიძლება, მსგავსი რამ არც არასდროს არსად თქმულა.

***– ბატონო სულხან, გამოდიოდნენ ადამიანები და აცხადებდნენ, რომ 50-ლარიანი ჯარიმების ნაცვლად 200-ლარიან ჯარიმებს უწერენ. მსგავსი ფაქტი თქვენს მეგობრებში, ახლობლებში თუ დაგიფიქსირებიათ, თუ ჰქონდათ ადამიანებს მსგავსი ჩივილი?***

– მე პირადად არ მომისმენია მსგავსი ფაქტი, მაგრამ ასეთი ტიპის ინფორმაცია ქალაქში გავრცელდა. აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ ბევრი რამე ერთმანეთს ემთხვევა. ამ ინფორმაციას დაემთხვა მეორე ინფორმაცია, შემდეგ მოხდა მტრის ხატის შექმნა და პროცესიც აგორდა. შემდეგ ამ მტრის ხატის წინააღმდეგ დარაზმეს რადიკალური ჯგუფები. იყო მოწოდებები რადიკალიზაციისკენ, კონფრონტაციისკენ. შესაბამისად, ყველაფერი მარტივად დასანახია.

***– ვინ შეიძლება, ამ ყველაფრის უკან იდგეს? ბევრი ნაციონალურ მოძრაობაზე მიანიშნებს. თქვენ ერთმნიშვნელოვნად შეგიძლიათ, მსგავსი განცხადება გააკეთოთ?***

– ერთმნიშვნელოვნად ამ განცხადებას მე ვერ გავაკეთებ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ნაციონალური მოძრაობა ყველაფერზეა არის წამსვლელი, რათა ძალაუფლება დაიბრუნოს. თუმცა, ეს კონკრეტული ფაქტი საგამოძიებო ორგანოებმა უნდა გამოიძიონ.

***– რამდენად შეიძლება, ნაციონალურ მოძრაობას ხალხში დასაყრდენი ჰქონდეს, როგორია ბათუმში განწყობები?***

– თუ როგორია მათი ელექტორალური დასაყრდენი, ეს კარგად ვნახეთ 2012 წლის არჩევნებზე და შემდეგ ყველა დანარჩენ არჩევნებზე, რომლებიც ჩატარდა. ამიტომ, რადიკალიზმი თუ იყო მათი მიზანი, მას წერტილი დაესვა. ეს იდეა ჩავარდა. რადიკალურად განწყობილ ჯგუფებს წერტილი წუხანდელმა ღამემ დაუსვა. რადიკალიზმი, კონფრონტაცია ყოველთვის განწირულია.

რაც მოხდა, ჩვენი ქალაქისთვის კატასტროფაა. როგორც ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გეუბნებით, რომ ეს ძალიან დამაზარალებელი იყო. უსაფრთხოების საერთაშორისო რეიტინგებში ძალიან მაღალი მაჩვენებელი გვაქვს, როგორც ტოლერანტ ქალაქს მთელ რეგიონში, ასევე ვიზალიბერალიზაციის ფონზე, იმ ფონზე, როდესაც ტურიზმის სეზონის გახსნა კარს არის მომდგარი, ეს ყველაფერი ასე აწყობილად როგორ დაემთხვა ერთმანეთს? ცხადია, ბევრი კითხვის ნიშანი იბადება.

**რაც მოხდა, ჩვენი ქალაქისთვის კატასტროფაა. როგორც ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გეუბნებით, რომ ეს ძალიან დამაზარალებელი იყო. უსაფრთხოების საერთაშორისო რეიტინგებში ძალიან მაღალი მაჩვენებელი გვაქვს, როგორც ტოლერანტ ქალაქს მთელ რეგიონში, ასევე ვიზალიბერალიზაციის ფონზე, იმ ფონზე, როდესაც ტურიზმის სეზონის გახსნა კარს არის მომდგარი, ეს ყველაფერი ასე აწყობილად როგორ დაემთხვა ერთმანეთს? ცხადია, ბევრი კითხვის ნიშანი იბადება**

## მერაბ ღოღობერიძე აღიარებს, რომ აჭარის საპატრულო პოლიციის წინააღმდეგ კამპანია მან დაიწყო



აჭარის საპატრულო პოლიციის უფროსის წინააღმდეგ გამართული აქციის ორგანიზატორმა მერაბ ღოღობერიძემ გუშინ პირველი კომენტარი გააკეთა.

იგი აღიარებს, რომ სწორედ მან დაიწყო გამოსვლები იმის გამო, რომ, მეგობრების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პოლიციის უფროსმა ერთ-ერთ სუფრაზე აჭარლები თათრებად მოიხსენია.

ღოღობერიძის განცხადებით, იგი სამართალდამცავებს ჯერჯერობით არ დაუკითხავთ, თუმცა, მზად არის, მათ კითხვებს უპასუხოს და სამართალდამცავების ზარს ელოდება.

– ის, რაც გუშინ მოხდა, მათი დანაშაული არის, მინდა გითხრათ, რომ იმდენად აგრესიულები იყვნენ, საზოგადოების თვალწინ მოხდა ადამიანების ცემა და ეს იყო პიკი, – აცხადებს ღოღობერიძე.

„კურიერის“ კორესპონდენტის კითხვაზე პასუხად ღოღობერიძე აცხადებს, რომ გადამწვარ ბათუმზე პასუხისმგებლობა უფრო ხელისუფლებამ უნდა იგრძნოს.

– მე მჯერა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო და შესაბამისი ორგანოები დაადგენენ ჭეშმარიტებას. თუ დადასტურდება, რომ ის, რაც მოხდა გუშინ, მერაბ ღოღობერიძის მიერ იყო დაგეგმილი, მე უნდა მომეთხოვებოდეს პასუხი, – განაცხადა ღოღობერიძემ.

იგი არ იღებს პასუხისმგებლობას იმ დარბევაზე, რომელიც ბათუმში გამთენიისას მოხდა, რადგან ეს უკვე თავად გაბრაზებულმა მოქალაქეებმა მოაწყვეს.

**ნიუპოსტი**

## ზურაბ პატარაძე: „ბათუმის მოვლენებში პოლიტიკურ ელფერს ვხედავთ“

– ბათუმში წუხელ განვითარებულ მოვლენებში, სამწუხაროდ, ჩვენ პოლიტიკურ ელფერსაც ვხედავთ.

ამის შესახებ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძემ ჟურნალისტებს, ბათუმში განვითარებული მოვლენების შეფასებისას განუცხადა.

როგორც პატარაძემ აღნიშნა, ზოგიერთი პოლიტიკური პარტია ცდილობს, ეს პროცესები სხვა სიბრტყეში გადაიყვანოს.

– სახელმწიფო, ქალაქი, რეგიონი არ შეეგუება ვანდალიზმს, არ შეეგუება უსამართლობას, არ შეეგუება იმ ქმედებებს, რომელიც გუშინ, სამწუხაროდ, ბათუმში განვითარდა. სამწუხაროდ, ჩვენ აქ ვხედავთ პოლიტიკურ ელფერსაც.



ზოგიერთი ჩვენი ოპონენტი, პოლიტიკური პარტიები ცდილობენ გადაიყვანონ ეს სხვა სიბრტყეში.

კადრებში ჩანდნენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები. ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია, რომ ჩვენი შვილები ჩართული იყვნენ მსგავს აქციებში. ამასთან ერთად, ჩვენ უნდა დავაცადოთ სამართალდამცავ ორგანოებს, კვალიფიციურად, ხარისხიანად და დროულად ჩაატარონ გამოძიება და უახლოეს პერიოდში ჩვენ გვექნება დასკვნები.

ბოლომდე შევისწავლით, თუ რა იყო მიზეზები, თუ ვინ ედგა სათავეში ამ ყველაფერს და ვინ მოახდინა პროვოცირება. პირველ რიგში, ჩვენ აუცილებლად უნდა დაველოდოთ გამოძიებას, – განაცხადა ზურაბ პატარაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი ჭეიშვილს თავი გაუტეხეს



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი ჭეიშვილს 11-12 მარტის ბათუმის აქციის მონაწილეებმა თავი გაუტეხეს.

დეპუტატის განცხადებით, მას აქციის მონაწილეების ნასროლი ქვა მოხვდა და ოპერაციას საჭიროებს.

როგორც ჭეიშვილმა ინტერპრესნიუსს განუცხადა, მომიტინგეები ქვებს სისტემატურად ისროდნენ.

– ამ წუთას ვიმყოფები რესპუბლიკურ საავადმყოფოში. აქციის მონაწილეების ნასროლი ქვა მომხვდა საფეთქელთან. საოპერაციო ვარ და ამ დილით გამიკეთებენ ოპერაციას. ჩემი დაშავების მერე რა მოხდა, არ ვიცი. ვიდრე დავშავდებოდი, მოლაპარაკება მიმდინარეობდა პოლიციასა და აქციის მონაწილეებს შორის. მომიტინგეები სისტემატურად ისროდნენ ქვებს და არ ვიცი, რა მოხდა, – განაცხადა ჭეიშვილმა 12 მარტს, დილით.

# ანზორ წოწონავა: „კონსტიტუცია ან მთლიანად უნდა გადავსინჯოთ, ან მის გარეშე ვიცხოვროთ“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ საკონსტიტუციო საკითხებზე ესაუბრა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ანზორ წოწონავას.

**ანზორ წოწონავა:**

– არსებული კონსტიტუცია ძირფესვიან შეცვლას მოითხოვს. ჩვენი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და მთავრობის ხელმძღვანელი მუშაობენ იმ ჯგუფში, რომელიც თვითმმართველობას ეხება. თვითმმართველობა, უფლებების გადანაწილება ცენტრსა და რეგიონებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. კონსტიტუციაში მითითებული გვაქვს, რომ პარლამენტი იქნება ორპალატიანი. ამ მხრივაც ჩასატარებელია მუშაობა.

***– ამ ეტაპზე ორპალატიანი პარლამენტის დაკანონება არ იგეგმება.***

– ეს ცუდია. კონსტიტუცია უნდა ასახავდეს რეალობას და ხელს უწყობდეს ქვეყნის განვითარებას. ის უნდა იყოს საფუძვლიანი და ხშირად არ იცვლებოდეს. აშშ-მ 240 წლის წინ მიიღო კონსტიტუცია, რომელიც თითქმის არ შეცვლილა. ამას წინ უძღოდა სისხლისღვრა და სამოქალაქო დაპირისპირება. ჩვენი კონსტიტუცია მთლიანად გადასასინჯია. თუ ეს არ მოხდა, ჯობია, ვიცხოვროთ საერთოდ კონსტიტუციის გარეშე. არიან სახელმწიფოები, რომლებიც ასე ცხოვრობენ. მათ აქვთ კანონები.

***– რეგიონები ახსენეთ. კონსტიტუციით ქვეყანა მხარეებად არ არის დაყოფილი, ამავე დროს, მოქმედებს გუბერნატორების ინსტიტუტი.***

– როცა თვითმმართველობაა, გაუგებარია, რა საჭიროა დანიშნული გუბერნატორი. სახელმწიფო მოხელეების რიცხვი ისედაც ძალიან დიდია. ამას ემატება გუბერნატორების ადმინისტრაციები. ბევრი რამეა კიდევ უფრო არაადეკვატური. მაგალითად, როგორ შეიძლება, სამ რაიონს ერთი მაჟორიტარი ჰყავდეს პარლამენტში? თუ ვინმეს სჭირდება მაჟორიტარი, ეს, პირველ რიგში, მთის მოსახლეობაა. სწორედ ასეთი მთიანი რაიონები გააერთიანეს და ერთ მაჟორიტარს ჩააბარეს. მაჟორიტარი უნდა ჰყავდეს ყველა ტერიტორიულ ერთეულს. არაადეკვატურია, ასევე, მეოთხე ინსტანციის სასამართლოს გაჩენა.

***– რას გულისხმობთ?***

– ადამიანის უფლებათა სასამართლოში რუსთავი 2-ის მიერ შეტანილ სარჩელს და შემდგომ პროცესს. კონსტიტუციაში არ გვიწერია, რომ საბოლოო განაჩენები მეოთხე ინსტანციის სასამართლომ უნდა გამოიტანოს და რომ ეს სტრასბურის სასამართლოა.

***– ერთ-ერთი მთავარი საკამათო საკონსტიტუციო საკითხი პრეზიდენტის არჩევის წესი გახდა.***

– ეს არ არის ქვეყნისა და კონსტიტუციის მთავარი პრობლემა, ისევე, როგორც პარლამენტის ადგილმდებარეობა. მთავარია, იყოს ნამდვილი თვითმმართველობა, უფლებამოსილებების სწორი გამიჯვნა, ქვეყანა სწორად განვითარდეს. მნიშვნელობა არა აქვს, როგორი წესით არჩეული პრეზიდენტი ეყოლება. შეიძლება, პარლამენტის გარდა, საერთოდ მეფე იყოს.

ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება, მისი ყველა შტო დედაქალაქში უნდა ფუნქციონირებდეს. პარლამენტი თბილისში უნდა მუშაობდეს. ქუთაისი ასრულებს თავის როლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას ისტორიაშიც დიდი ადგილი უკავია. პარლამენტის იქ ყოფნა ქუთაისის ეკონომიკას ვერ განავითარებს.



„ნაცმოძრაობა დესტაბილიზაციას იწვევს“

***– პრეზიდენტმა წამოიწყო კამპანია „კონსტიტუცია ყველასია“.***

– ამ კამპანიით კონსტიტუცია ყველასი არ გამოდის. ამ საკითხზე ერთსა და იმავე ადამიანებს ალაპარაკებენ. ყველა სპეციალისტსაც კი არ ეკითხებიან ჭკუას. ჩვეულებრივ მოქალაქეებზე ხომ საუბარიც ზედმეტია! პრეზიდენტის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ კონსტიტუციას საკონსტიტუციო კომისიამ უნდა მიხედოს. მასში უნდა შევიდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ასეთი შეთავაზება მათ თავის დროზე რატომღაც არ მიიღეს.

ამ საკითხში ვეთანხმები პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის პოზიციას. უთანხმოება ხელისუფლებაში გამოწვეულია იმით, რომ სააკაშვილის დაჟინებით მოხდა კონსტიტუციის დამახინჯება. დამყარდა სამართლებრივი ბნელეთი. პრეზიდენტს უფლებები მაშინ წაართვეს. ამან წარმოშვა გაუგებრობები.

***– პარლამენტის თავმჯდომარესა და პრეზიდენტს შორის უთანხმოება სამართლებრივ თემებს სცილდება ხოლმე.***

– ყველაფერი მომდინარეობს იმ ანარქიიდან, რომელიც სააკაშვილმა და ნაცმოძრაობამ შექმნეს. თვითმმართველობაც მაშინ გაითელა ფეხქვეშ. არც ახლაა ამ მხრივ კარგი მდგომარეობა. სააკაშვილის გადაწყვეტილებით, 27.000 შენობა თითო ლარად გაიყიდა. მაშინდელი ეკონომიკის მინისტრ ქობალიას ბრძანებით შიდა ქართლსა და სამეგრელოში სიმბოლურად გაიყიდა მიწები. თვითმმართველობის დროს ასეთი რამე ვერ მოხდებოდა.

***– „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ თვითმმართველობისთვის ბევრი გააკეთა, მაგალითად, შემოიღო გამგებლების არჩევნები.***

– არჩევნები არ კმარა. გამგებელს უფლებებიც უნდა. ადგილებზე ფული არ გააჩნიათ. მიღებული ცვლილებები ზღვაში წვეთია. ასამოქმედებელია ქვეყნისთვის სასიცოცხლო კანონები. ერთი მათგანია კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. სამწუხაროა, რომ ის ვერ ამუშავდა იმის გამო, რომ ესაჭიროება მთავრობის დადგენილებები. ეს კანონი დაარეგულირებდა ურთიერთობებს ხელისუფლების შტოებს შორის და წერტილს დაუსვამდა ჩინოსნების მიერ პრემია-დანამატების აღებას. სხვა პრობლემებს ემატება ის, რომ ქვეყანას სერიოზულ ზიანს აყენებს ნაციონალური მოძრაობა.

***– რანაირად?***

– ეს პარტია მუდმივად ქმნის ფონს დესტაბილიზაციისთვის. ნაციონალები შეურაცხყოფას აყენებენ ხელისუფლებას. გაუთავებელი „უნიათოების“ ძახილი შეურაცხყოფაა. შეურაცხყოფა სისხლის სამართლის დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.

***– ეს ხომ გამოხატვის შეზღუდვა იქნება?***

– ეს არ იქნება გამოხატვის შეზღუდვა. ნაციონალები ემუქრებიან სტაბილურობას, ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებენ დევნილთა ჯგუფებს, ეწევიან აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების საწინააღმდეგო კამპანიას. მათგან მოტყუებულ დევნილებს ვერ შეუგნიათ, რომ ვაკეთებთ იმას, რისი საშუალებაც გვაქვს. ამაზე მეტი მატერიალური ბერკეტები არ გაგვაჩნია. ყველანაირად ვცდილობთ აფხაზეთის გენოფონდის გადარჩენას. ვიღაცას საერთოდ არ უნდა დევნილების არსებობა. ზოგიერთს არც იმის აღიარება უნდა, რომ აჭარა და აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში განსაკუთრებული უფლებებით უნდა სარგებლობდნენ.

# საქართველოში ბრაკონიერებმა 3 რეინჯერი მოკლეს

## მთავრობა ბრაკონიერობაზე სანქციებს ამკაცრებს



რეინჯერების, ტყის მცველებისა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების დაცვის მიზნით მთავრობა ბრაკონიერობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების გამკაცრებაზე მუშაობს.

ამის შესახებ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, სამართალდამრღვევების მიმართ სასამართლო ხშირ შემთხვევებში ძალიან ლმობიერია და მათ დანაშაულის ჩადენის იარაღსაც კი უბრუნებენ.

– ჩვენ დავკრძალეთ მეტყევე, რომელიც ბრაკონიერმა მოკლა. ლაგოდეხში გვქონდა ჩვენ შემთხვევა, როდესაც უკანონო ნადირობის აღკვეთის დროს სხეულის დაზიანება მიიღო ჩვენმა თანამშრომელმა, მაშინაც სიცოცხლის რისკის და საფრთხის წინაშე იყო. ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე, ბორჯომის სატყეო უბანზე გვქონდა ასეთი შემთხვევები.

მთავრობის ბოლო სხდომაზე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მოვამზადებთ საკანონმდებლო ინიციატივებს, როგორც კანონის გამკაცრების, ასევე ამ თანამშრომლების მეტი მხარდაჭერისთვის. ჩვენ აქ დაგვჭირდება ყველას თანადგომა, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების, – განაცხადა მინისტრმა.

მისი თქმით, ასევე საჭიროა სასამართლოს მხარდაჭერა, რომელიც ძალიან ლმობიერია ხოლმე სამართალდამრღვევების მიმართ.

– სისხლის სამართლის საქმეებში დამნაშავედ ცნობილი პირები ახერხებენ, სიტყვიერი შენიშვნით, ან 2 ათას ლარიანი გირაოს მერე ჯარიმის საფუძველზე თავი დააღწიონ პასუხისმგებლობას და ამავე დროს არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები უბრუნებენ, როგორც უკანონოდ მოპოვებულ ნანადირევს თუ ხე-ტყეს. საოცარია, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში უბრუნებენ დანაშაულის იარაღსაც კი, -აღნიშნა გიგლა აგულაშვილმა.

მინისტრის განცხადებით, სამინისტრო ყველა შემთხვევაში გამოაქვეყნებს ბრაკონიერობაში მხილებული პირების ვინაობას, თუნდაც ისინი თანამდებობის პირები იყვნენ.

– ჩვენ ამ გადაწყვეტილებას აღვასრულებთ, რომ ვიყოთ პირუთვნელები, კრიტიკულები და ვთქვათ ყველაზე ყველაფერი. ვინც არ უნდა იყოს, ეს იქნება მუნიციპალიტეტი, გუბერნია, ჩემი მეგობრები, აღმასრულებელ ხელისუფლებაში თუ ვინმე ნადირობს სადმე უკანონოდ, გადავწყვიტეთ, რომ გვარის, სახელის და თანამდებობის მითითებით გამოვაქვეყნოთ ინფორმაცია ამ ადამიანებზე, – განაცხადა მინისტრმა.

მისივე ინფორმაციით, 2016 წელს სამართალდამრღვევებზე დაკისრებული ჯარიმების საერთო ოდენობამ – 4.500.000 ლარი, ხოლო გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა 8 მილიონი ლარი შეადგინა.

◆ ◆ ◆

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ ინფორმაციით, ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში ბრაკონიერებმა 3 რეინჯერი მოკლეს, 6 გარემოსდამცველი კი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა.

„მწვანე ალტერნატივა“ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული გარემოს დაცვის სფეროს თანამშრომელთა ოჯახებისთვის სოციალური შეღავათების დაწესებას ითხოვს.

ბოლო პერიოდში ბრაკონიერობის არაერთი ფაქტის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია.

ამბროლაურის რაიონის სოფელ ლიხეთში ბუხუტი მეტრეველმა შველი დაურეგისტრირებელი სანადირო თოფით მოკლა.

თებერვალში დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩარგალთან გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონადირეთა 6-კაციანი ჯგუფი დააკავეს, რომლებსაც უკვე მოპოვებული და დანაწევრებული შველი აღმოაჩნდათ.

შვლის მოკვლაში მხილებულმა ბრაკონიერმა, 32 წლის ალექსანდრე ოგანოვმა თქვა, რომ ტყეში ყოფნისას ხმა გაიგო, მგელი ეგონა, ესროლა და შველი აღმოჩნდა.

რამდენიმე დღით ადრე, ბრაკონიერობის კიდევ ერთი შემთხვევა გამოვლინდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში. დაჭრილი შვლის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

2016 წლის აგვისტოში, კარაბინებით შეიარაღებული ნიღბიანი ბრაკონიერები ლაგოდეხის ნაკრძალში თავს დაესხნენ რეინჯერებს, რომლებიც მათ დაკავებას ცდილობდნენ. რეინჯერ გიორგი გელაშვილს თავის არეში ჭრილობა მიაყენეს. დაზარალებულ რეინჯერს საავადმყოფოში თავზე რამდენიმე ნაკერის დადება დასჭირდა.

პოლიციას თავდამსხმელი ბრაკონიერები ამ დრომდე არ დაუკავებია. უფრო მეტიც, გამოძიებას დღემდე არ დაუკითხავს რეინჯერები, რომლებიც ანტიბრაკონიერულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ.

ამ დრომდე ლაგოდეხის პოლიციაში მუშაობს გამომძიებლად 29 წლის ბაკურ ბაკაშვილი, რომელიც ლაგოდეხის ნაკრძალში შემჩნეულია ბრაკონიერობაში და რეინჯერების მიმართ მუქარებსაც არ იშურებს.

– უახლოეს ხანში ჩემი შვილი (7 წლის გოგონა) მიმყავს ღორზე სანადიროდ და საქართველოში ყველა სამსახურს ვურჩევ, წინ არ გადამეღობონ, იქ ჩემი შვილი იქნება... ვაი, რომ ცხელ ტყვიას გავუტარებ შუბლში და მერე იკითხონ, ვის რამხელა პატრონი ჰყავს. გამზრდელს ავუფეთქებ ყველას, მაგ დროს არ მომინდომონ სამსახურეობრივი ჩათვლები, პლუსები და პრემიები, კუბოში ჩავაწვენ ყველას.

დეტექტივ-გამომძიებელმა ბაკაშვილმა ფეისბუქში ეს სტატუსი 2016 წლის 8 იანვარს გამოაქვეყნა და მალევე, მას შემდეგ წაშალა, რაც მუქარის შემცველი განცხადებით კახეთის საინფორმაციო ცენტრი დაინტერესდა.

სტატიის გამოქვეყნების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ბაკურ ბაკაშვილს მხოლოდ საყვედური გამოუცხადა. ის სამსახურიდანაც კი არ გაათავისუფლეს.

დაცულ ტერიტორიებზე ბრაკონიერობაში მხოლოდ გამომძიებლები არ არიან შემჩნეული.

2015 წლის 30 ნოემბერს კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა ფოტოები, საიდანაც ჩანს, რომ ლაგოდეხის, ყვარლის და გურჯაანის რაიონულმა პროკურორმა ლევან ღვედაშვილმა „წითელ ნუსხაში“ შეტანილ დათვზე ინადირა.

მასალის გამოქვეყნებიდან ორი თვის შემდეგ პროკურორს სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება დააწერინეს. მის მიმართ გამოძიება არ დაწყებულა. გარკვეული ხნის შემდეგ ყოფილი პროკურორი ლევან ღვედაშვილი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაასაქმეს.

**მთის ამბები**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# სვანეთში ინვესტორს მოკვლით ემუქრებიან

**სვანეთში 10-მილიონიანი ინვესტიცია, შესაძლოა, ჩავარდეს, რადგანაც ინვესტორს მოკვლით ემუქრებიან. ამერიკული კომპანია „ოპტიკალ სისტემსი“ სვანეთში ოქროს ძიება-მოპოვებასთან დაკავშირებით ლიცენზიის მფლობელია. თემის დეტალებით „საქმიან დილასთან“ „ოპტიკალ სისტემსის“ იურისტი ირაკლი გვილია საუბრობს.**

## 10-მილიონიანი ინვესტიცია, შესაძლოა, ჩავარდეს



***– ბატონო ირაკლი, როგორია დღეს არსებული მდგომარეობა?***

– სამწუხაროდ, ეს პრობლემა გასული წლის მაისში წარმოიშვა და დღემდე არაფერი შეცვლილა. ამ პერიოდის განმავლობაში აქტიური კამპანია გვქონდა პრესაში. შინაგან საქმეთა სამინისტროს მივმართეთ, რომელსაც ამ ხნის მანძილზე აბსოლუტურად არაფერი გაუკეთებია ჩვენ სასარგებლოდ.

ჩვენ ბრალს გვდებენ ქიმიური მინარევების, ხან ციანიდის არასწორ გამოყენებაში. ჩვენი ლიცენზია 2005 წლიდან არსებობს. ამ პერიოდიდან ამერიკული კომპანია აქტიურად აწარმოებდა შესწავლას და შარშან უკვე აქტიურ მუშაობაში ჩავებით.

კარგად ორგანიზებულმა კოლონამ ჩვენი ბანაკი დაარბია, დაახლოებით 200 ადამიანი ამოვიდა სოფელ იელის მახლობლად. ამ დარბევიდან მე-2-3 დღეს გარემოს დაცვის ინსპექციამ შეგვამოწმა, დაგვაჯარიმეს, რადგან დაგვარბიეს და იმ ტერიტორიაზე ნაგავი ეყარა, ეს ბუნებრივია. დარბევის დროს ჩვენ თანამშრომლებს ფიზიკურად გაუსწორდნენ და ფიზიკურად ვერ მოვასწარით ტერიტორიის დასუფთავება და მოწესრიგება.

ეს ისედაც აბსურდია, თავიდან ბრალს გვდებდნენ, თითქოს ურანის მოპოვებით ვიყავით დაკავებული, შემდეგ ვითომ ციანიდს ვიყენებდით, თუმცა არც ერთი სინამდვილეს არ შეესაბამება. გარემოს დაცვის ინსპექციამ ჩვენი მთლიანი ტერიტორია შეისწავლა და ვერანაირ მინარევი ვერ ნახა. ინტერესებს რაც შეეხება, ჩვენ ინფორმაცია გვაქვს და ვაცხადებთ, რომ სვანეთში დიდი გავლენის მქონე პირები პირდაპირ დაინტერესებულები არიან ამ საქმიანობის შეჩერებით და სწორედ მათი ორგანიზებით მოხდა ჩვენი ბანაკის დარბევა.

***– თუკი თქვენ ოფიციალურად ლიცენზიის მფლობელი ხართ, მითუმეტეს 2005 წლიდან, ამკრძალავი მხოლოდ ადგილობრივების პროტესტია, რომელიც სამუშაო პროცესს საფრთხეს უქმნის?***

– არ არსებობს არცერთი სამართლებრივი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ჩვენ აღნიშნულ საქმიანობას გვიკრძალავს. ერთადერთი, რის გამოც ვფერხდებით, არის ის, რომ სახელმწიფო სვანეთში სიტუაციას ვერ აკონტროლებს და კონსტიტუციური წესრიგის დამყარება ვერ ხდება.

***– ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო სტრუქტურებისთვის თუ მიგიმართავთ და მათგან ოფიციალური პასუხი თუ მიგიღიათ?***

– რა თქმა უნდა, მივმართეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას, ეკონომიკის მინისტრს, პრემიერ-მინისტრს, ასევე შეხვედრა გვქონდა ბიზნესომბუდსმენთან, თუმცა ჩვენ ამასთან დაკავშირებით არცერთი ოფიციალური წერილი არ მიგვიღია.

***– მაგალითად, როდესაც ბიზნესომბუდსმენს შეხვდით, რა გითხრათ მან?***

– ეს ერთადერთი უწყებაა, რომელიც ამ საქმეში აქტიურად არის ჩართული, თუმცა მისი კომპეტენცია საკმაოდ შეზღუდულია იმ მხრივ, რომ ის არ არის შინაგან საქმეთა მინისტრი და ის ვერც პოლიციას უბრძანებს, წესრიგი დაამყაროს.

ჩვენი ზიანი ამ პერიოდში დაახლოებით 2 მილიონ ლარს სცილდება. დანახარჯს ვგულისხმობ. ანაზღაურებები, შეძენილი მასალები, რომლებიც გაგვიფუჭდა, გაგვინადგურეს, ასევე გადახდილი იჯარები და ა.შ. ჩვენ ამ ყველაფერში ამერიკის საელჩო ჩავრთეთ და ახლა იმ მიმართულებით ვმუშაობთ, რომ ამ უმსგავსობასთან დაკავშირებით ამერიკის საელჩომ გააკეთოს ოფიციალური განცხადება.

პარალელურად, ქვეყანაში ინვესტორებს ვეპატიჟებით, თუმცა მათი საქმიანობა ფერხდება, მიღებული ლიცენზიები უმოქმედოა, რადგან ადგილობრივ კლანებს სრულიად სხვა ინტერესი და ხედვა აქვთ.

**ბიზნესკონტრაქტი**

# კობა გვენეტაძე: „2017 წელს 32 სავალუტო ჯიხური გაუქმდა“



ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე რეჟისორ გიორგი ოვაშვილის პოსტს ეხმაურება, რომელიც ერთ-ერთი სავალუტო ჯიხურის მიერ დადგენილ კურსზე წერდა.

აი, რა წერია ამ პოსტში:

პირველ რიგში, დიდ მადლობას გიხდით, რომ გაგვიზიარეთ გამოცდილება (სამწუხაროდ, არასასიამოვნო) ვალუტის გადამცვლელი პუნქტების არაკეთილსინდისიერი საქმიანობის შესახებ.

როდესაც გასულ ზაფხულს, შუაგულ ბათუმში, შუაგული ტურისტული სეზონის პერიოდში, თავად წავაწყდი არაერთ მსგავს შემთხვევას, სწრაფად მივიღეთ გადაწყვეტილება ამ საქმიანობის მარეგულირებელი წესების გადახედვის შესახებ, რომელსაც, სხვათა შორის, ოპონენტებიც გამოუჩნდნენ და ზედმეტი რეგულაციების შემოღების გამო არაერთხელ გაგვაკრიტიკეს.

ვალუტის გადამცვლელი პუნქტებს დავუწესეთ სავალდებულო მოთხოვნები. დეტალებით არ გადაგღლით, მხოლოდ რამდენიმეს გაგაცნობთ: პუნქტები ვალდებულნი არიან მკაცრად დადგენილი სტანდარტის მიხედვით განათავსონ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის დაფა. ასევე, მომხმარებელს მკაფიოდ და სრულად აუხსნან ინფორმაცია ვალუტის გაცვლის კურსის და მომსახურების საკომისიოს შესახებ და გადასცენ ოპერაციის ამსახველი დოკუმენტი.

ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული წესების დარღვევის გამო 2017 წლის იანვრიდან დღემდე უკვე 32 ჯიხური გაუქმდა და მონიტორინგის პროცესიც მუდმივად მიმდინარეობს. თუმცა, დღესდღეობით საქართველოში 1.000-ზე მეტი გადამცვლელი პუნქტია რეგისტრირებული და ყოველდღიურად თითოეულის მონიტორინგი შეუძლებელია.

ჩვენ, ერთი მხრივ, ვცდილობთ, ყველაფერი გავაკეთოთ მომხმარებელთა უფლებების დასაცავად, თუმცა, მეორე მხრივ, ვფრთხილობთ კიდეც, რათა ზედმეტად მკაცრი პირობებით არ გავაჩინოთ ამ სფეროს შავ ბაზარზე გადანაცვლების რისკი, რაც, დამეთანხმებით, კიდევ უფრო დააზიანებს ქვეყნის რეპუტაციას იმავე ტურისტების თვალში.

თავად ვარ მომსწრე, თუ როგორ ყვავის ცენტრალური აზიის ერთ-ერთ რესპუბლიკაში ასეთი შავი ბაზარი, რაც მეტად არასასიამოვნო სანახავია.

მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და ვთხოვო მოსახლეობას, ნუ დაიზარებენ, გადაუღონ სურათი ასეთ დარღვევებს და გადამცვლელი ჯიხურის მისამართთან ერთად გამოგვიგზავნონ შემდეგ იმეილზე cp@nbg.gov.ge

კიდევ ერთხელ მადლობა თქვენი პოსტისთვის. სიმართლე გითხრათ, მერჩივნა, კინოს შესახებ გვესაუბრა, მით უმეტეს, რომ მოუთმენლად ველი თქვენი ახალი ფილმის, „ხიბულას“ ეკრანებზე გამოსვლას.

# ქართველი ქალისა და მისი იტალიელი მეუღლის რესტორანი მილანში



თუ მილანში მოხვდებით, არ დაგავიწყდეთ პატარა, მყუდრო რესტორნის მონახულება, სადაც ქართულ კერძებს იტალიელი შეფ მზარეული მარიო ბელოტი და მისი ქართველი მეუღლე ლალი თერეევა ამზადებენ.

წყვილი მომხმარებელს სთავაზობს, როგორც იტალიურ ზუჩინის გემოთი შემკულ უგემრიელეს საკვებს, ისე ქართულ ნიგვზიან ბადრიჯანს საოცარ ქართულ ღვინოსთან ერთად.

წყვილმა საკუთარი სიყვარულის ისტორიასა და კულინარიისადმი ვნებაზე „ჯორჯიან ჟორნალთან“ ინტერვიუში ისაუბრა.

– პანვინოლიო პატარა რესტორანია მილანში, რომელიც დააჯილდოვეს, როგორც საუკეთესო მრავალფუნქციური მაღაზია 2016 წელს და როგორც პატარა ბუტიკ-მაღაზია 2017 წელს. რესტორანი ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით მასპინძლობს სტუმრებს. გვაქვს საცხობი, ბიო საკვების მაღაზია, ღვინის მაღაზია და ყველაფერი კარგი, რაც იტალიაში შეიძლება ნახოთ.

16 წლის განმავლობაში ამერიკაში ვმუშაობდი კარგ რესტორნებში, ლოს ანჯელესსა და პროვიდენსში. მილანში რამდენიმე ცნობილ რესტორანში სომელიედაც მიმუშავია და ჯილდოც მაქვს მიღებული ღვინის საკვებთან მისადაგებაში. ჩემი ცოლი თბილისში დაიბადა, ათი წლის წინ კი იტალიაში გადმოვიდა საცხოვრებლად. ნაპოლიში ისწავლა იტალიური კერძების მომზადება და შემდეგ მილანში გადმოვიდა 2011 წელს, სადაც გავიცანით კიდეც ერთმანეთი. 2013 წლის სექტემბერს დავქორწინდით, 2014 წელს კი პანვინოლიო გავხსენით.

ხანდახან ქართულ სადილებს ვმართავთ ხოლმე. ძირითადად იტალიურ საკვებს ვამზადებთ, ნაკლებ ცხიმიანს, ნაკლებ მარილიანს, ჩვენ ჯანმრთელი კვების რესტორანი გვაქვს. ქართული კერძებიდან მენიუში გვაქვს ნიგვზიანი ბადრიჯანი, ფხალი, ღომი, ხარჩო, ხაჭაპური და ფელამუში. ამასთან, ქართული ღვინო, რომელსაც ნინო ანანიაშვილი აწარმოებს. რამდენიმე ქართველი კლიენტიც გვყავს, სტუდენტი, ექიმი თუ ოპერის მომღერალი. ყველა ქართველს, ვისაც გავიცნობ ხოლმე, ვუმეგობრდები, – ამბობს მარიო ბელოტი.

***– რა შეგიძლიათ გვითხრათ ქართული სამზარეულოს შესახებ?***

– აგვისტოში ვაპირებთ საქართველოში ჩამოსვლას. ძალიან მინდა ქართული მარნების მონახულება. ძალიან მიყვარს აჭარული ხაჭაპური, ხინკალი, ხაჭაპური, მწვადი, ჯონჯოლი, ლავაში და რასაკვირველია, ფელამუში. ეს ყველა კერძი ჩემმა ქართველმა ცოლმა გამასინჯა, თავისივე მომზადებული.

ქართული ღვინოებიდან მიყვარს ხიხვი, საფერავი, ასევე ჭაჭა. მიყვარს ქართული ისტორია და კულტურა იმდენად, რომ ქართული ღვინის ისტორიის ბროშურაც კი ვთარგმნე. ერთად მუშაობა რთულია, მაგრამ გვიყვარს ერთმანეთი. ღვინის მაღაზია გვაქვს, სადაც ვყიდით ღვინოს და მომხმარებელს ბროშურებს ვაძლევთ, რომ ქართული ღვინის ისტორიას გაეცნონ.

**ლიკა ქიღლაძე**

# დაცვის კომპანია „ორბი“ მთლიანად ელექტრომობილებზე გადადის



დაცვის კომპანია „ორბი“ სრულად ელექტრომობილებზე გადადის.

როგორც კომპანიის ხელმძღვანელი ზურაბ კვირიკაშვილი აცხადებს, ამ დროისთვის კომპანიის თბილისის ფილიალები სრულად ელექტრომობილებს იყენებენ, ზაფხულამდე კი ეკოლოგიურად სუფთა ავტომანქანები კომპანიის რეგიონებში მდებარე ფილიალებსაც მოემსახურება.

ჯამში, კომპანიას 25 ელექტრომობილი ეყოლება.

დაცვის კომპანიის ხელმძღვანელი ბიზნესკონტრაქტთან განმარტავს, რომ ელექტრომობილების შესყიდვის შემდეგ მათი ხარჯი ამ მიმართულებით 90%-ით შემცირდა.

– ჩვენმა კომპანიამ გადაწყვიტა ოპტიმიზაცია სამსახურში, გვინდოდა, რომ ხარჯების შემცირებით შეგვენარჩუნებინა სტაბილურობა ბიზნესში. მოვიძიეთ კომპაქტური მანქანები, რომლებიც იყო ნაკლებხარჯიანი და ძალიან კმაყოფილი ვართ ჩვენი არჩევანით.

ეს არის სუფთა ელექტრომობილი, რომლის დამუხტვა შეგვიძლია როგორც სახლის პირობებში, ასევე ოფისში. ერთ დატუმბვას 12 კილოვატი ელექტროენერგია სჭირდება, რაც დაახლოებით 2 ლარის დენია, ამ დამუხტვით კი ავტომობილი გადის 120-დან 150 კილომეტრამდე, – აცხადებს ზურაბ კვირიკაშვილი.

**სალომე მეცხვარიშვილი,**
**ბიზნესკონტრაქტი**

# გაიხსნა სასტუმრო გუდაური ინნ

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელებთან და მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორთან ერთად გუდაურში მიმდინარე დიპლომატიური სათხილამურო შეჯიბრების ფარგლებში სასტუმრო გუდაური ინნ გახსნა, რომელიც სახელმწიფო პროგრამის „უმასპინძლე საქართველოში“ ფარგლებში აშენდა.

– აღნიშნული სასტუმრო 6 თვეში აშენდა. ეს პროექტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რა დიდი პოტენციალია სახელმწიფოს დახმარებით კერძო სექტორისთვის ბიზნესის განვითარებისთვის. გუდაური ძალიან სწრაფი ტემპებით ვითარდება. მოგეხსენებათ, რომ მთისა და სამთო კურორტების განვითარება არის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი და ამისთვის ვაკეთებთ მაქსიმუმს, – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

**ბიზნესკონტრაქტი**

# ლალი აფციაური: „სტრასბურმა გადაწყვეტილება ნაციონალების ჩარევის შედეგად მიიღო“

ნონა ცაბაძე

მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურმა შეჩერების ღონისძიება უვადოდ გააგრძელა, რუსთავი 2-ის დასაცავად გამართული აქციები აქტუალურობას არ კარგავს. სტრასბურის გადაწყვეტილებას ეჭვის თვალით უყურებს ადვოკატი, უფლებადამცველი ლალი აფციაური, რომელიც „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.



***– ქალბატონო ლალი, თქვენ არაერთხელ გქონიათ შეხება სტრასბურის სასამართლოსთან. როგორია თქვენი შეფასებები?***

– სტრასბურის გადაწყვეტილება არაფერს ნიშნავს. მან დროებით შეაჩერა აღსრულება, რომ არხი გადასცემოდა ქიბარ ხალვაშს. ეს 39-ე მუხლია. ამ მუხლს ჩვენ წლების განმავლობაში ვიყენებდით. საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო სტრასბურმა.

***– რა თვალსაზრისით?***

– მე არ მგონია, რომ ეს გარკვეული დაინტერესებიდან გამომდინარე არ იყოს. 39-ე მუხლს ჩვენ ძირითადად ვიყენებდით ექსტრადიციის პირობებში. როდესაც ამა თუ იმ პირის ექსტრადიცია ხდებოდა, მაგალითად, რუსეთის ფედერაციიდან, იმავე პოლიტდევნილების და მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. პირადად მე არაერთი ასეთი წერილი მაქვს სტრასბურში გაგზავნილი, სადაც ვითხოვდით ექსტადიციის შეჩერებას.

***– აჩერებდნენ?***

– არ მახსოვს, რომ რომელიმე ექსტრადიცია ყოფილიყო შეჩერებული. არ ყოფილა ასეთი ფაქტი! ასე უცებ რომ გადაწყდა რუსთავი 2-ის საკითხი, გაოცებას ვერ ვმალავ. არც იქ არის ყველაფერი ისე დალაგებული, როგორც ჩვენ გვგონია.

***– რას გულისხმობთ?***

– ერთ-ერთი საქმის განხილვის შემდეგ სტრასბურის ერთ მოსამართლეს მივადექი გადაწყვეტილებით ხელში და ვუთხარი, აქ ყველაფერი რიგზე არ არის, რაღაც ინტერესი დევს, ასეთი გადაწყვეტილება არ უნდა გამოსულიყო-მეთქი. იცით, რა მიპასუხა? სწორი ეჭვი გაქვთო. იქაც ხდება ასეთი რაღაცები.

***– ეს პროცესი მიუკერძოებელი არ იყო?***

– ნამდვილად არ არის მიუკერძოებელი. გავიხსენოთ, დღეს ვინ არის სტრასბურში საქართველოს წარმომადგენელი – ქალბატონი წოწორია, ადეიშვილის ყოფილი მოადგილე! აქედან გაგზავნილი მასალები, პირველ რიგში, საქართველოს სექციაში განიხილება, იქ ითარგმნება და შემდეგ იქიდან მიეწოდება. გარდა მაგისა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ იქ იყოს ინტერესი.

***– რა სახის ინტერესი?***

– მოდით, დღეს არ დავაკონკრეტებ, გარკვეული დაინტერესებიდან გამომდინარეა ეს გადაწყვეტილება გამოტანილი! თავისუფალი ტელევიზიის მოწინააღმდეგე არავინაა. უბრალოდ, ის არ უნდა იყოს რომელიმე პარტიის ტელევიზია. იმაზე არავინ დავობს, რომ თავისუფალი სიტყვა აუცილებელია. დღეს ყველასთვის ნათელია, რომ რუსთავი 2 ნაცმოძრაობასთან ასოცირდება. ყველა მათი სახე დღეს იქ ზის.

***– ხალხის ტელევიზიააო.***

– ვერ იქნება ხალხის ტელევიზია! ნუ ლაპარაკობენ ხალხის სახელით. ხალხი მხოლოდ ის არ არის, ვინც შაბათს რუსთაველზე შეიკრიბა. ეს რაოდენობა მთელი ხალხის სახელით ნუ ილაპარაკებს, რადგან ჩვენ გაცილებით მეტნი ვართ!

***– წოწორიაზე საუბრობდით და რატომ ვერ მოხდა მისი გამოწვევა, თუკი ის ნაციონალების დაკვეთებს ასრულებს სტრასბურში?***

– მოგეხსენებათ, რომ მას უნდა ჩაენაცვლოს წარმომადგენელი საქართველოდან. ეს საკითხი განიხილებოდა და ვიცით, რომ კანდიდატურები დაიწუნეს. შესაბამისად, დარჩა ქალბატონი წოწორია იმ დრომდე, ვიდრე არ ჩაენაცვლება საქართველოს წარმომადგენელი. დღეს კი სტრასბურში ადეიშვილის პირველი მოადგილე ზის.

***– რამდენად შეილახა ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლების იმიჯი?***

– აქ რა შუაშია ხელისუფლების იმიჯი?!

***– საქართველო რუსთავი 2-ის წინააღმდეგ – ასე დაერქვა ამ საქმეს და ხელისუფლება დამარცხდაო, გვესმის შეფასებები.***

– ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. ყველა საქმეს ასე არქმევენ, აფციაური საქართველოს წინააღმდეგ, ქიბროწაშვილი საქართველოს წინააღმდეგ. ეს ზოგადი ფორმულირებაა. ამ ფორმას თავად აწესებენ. ნებისმიერ საქმეს ასე აწერია. აქვე ერთ ამბავსაც გეტყვით, მათ შორის 39-ე მუხლი გამოიყენება მძიმე ავადმყოფებზე. გახსოვთ ის 9-წლიანი პერიოდი. ვადაზე ადრე გათავისუფლებები არ ხდებოდა ციხეებიდან, უმძიმეს ავადმყოფებზე ვაგზავნიდი მოთხოვნას, სულს რომ ღაფავდნენ და ოთხი ფიცარი რომ სჭირდებოდათ.



***– თუ მიგიღიათ დადებითი გადაწყვეტილება?***

– ვაგზავნიდი და არცერთი დადებითი გადაწყვეტილება არ ყოფილა! იმდენი განაცხადი, რაც მაშინ საქართველოდან იგზავნებოდა, არცერთი ქვეყნიდან არ ყოფილა.

***– ასეთი რა ფორმულირებით გაიგზავნა რუსთავი 2-ის საქმე, რომ ასე საგანგაშოდ ჩათვალეს?***

– რაც მე მოვისმინე, იქნება სისხლისღვრა, ხალხი დაიხოცება, მეორედ მოსვლა მოხდებაო. მე არ ვფიქრობ, რომ მოსამართლემ ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო. იქ მოხდა კონკრეტული ჩარევა! ამის გარეშე ეს არ მოხდებოდა. ეს სულაც არ მიკვირს. მე ძალიან კარგად მახსოვს დარჩიაშვილის მიერ ერთი წლის წინ გაკეთებული განცხადება: თქვენ ევროპა რა გგონიათ, ცოტა ფული დახარჯეთ და ყველაფერიც გამოგივათო. მისი ეს სიტყვები ჩემს ფეისბუქგვერდზეც კი მაქვს გაზიარებული.

***– ანუ ნაციონალების აქტიური ჩარევა მოხდა?***

– დარწმუნებული ვარ, რომ კონკრეტული ჩარევა მოხდა და სწორედ მათი მხრიდან. ნაციონალებმა ევროპელ მაღალ ჩინოვნიკებსაც არაერთი პროვოკაცია მოუწყვეს. მათ ძალიან სერიოზული თანხები აქვთ დახარჯული. ნუ გგონიათ, რომ ევროპა აბსოლუტურად სამართლებრივ ჩარჩოებშია მოქცეული! ქრთამსაც იღებენ და იქაც ყველაფერი მოსულა! პარიზში ქართველების ერთ-ერთ პროცესზე გამოვდიოდი და იქაურმა ადვოკატმა რაღაც საკითხი არ დააყენა. როდესაც ვკითხე, ასე რატომ მოიქეცი-მეთქი, იცით, რა მიპასუხა? მოსამართლეს ვერ გავაბრაზებდიო. ამ ფაქტს გიორგი ფოფხაძეც შეესწრო. ძლივს გამაგდებინა ის ადვოკატი ხელიდან.

***– რუსთავი 2-ის აქციაზე იმ მოსამართლეების გადადგომაც მოითხოვეს, რომლებსაც რუსთავი 2-ის საქმესთან ჰქონდათ შეხება, სირცხვილია, ასეთი მოსამართლეები რომ გვყავსო. რამდენად სამართლიანია ეს მოთხოვნა?***

– რატომ არის სირცხვილი? ჯერ ხომ სტრასბურს არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია. სირცხვილსა და ნამუსზე მას შემდეგ ილაპარაკონ, არსებითი განხილვა რომ მოხდება და სტრასბურის სასამართლო რომ იტყვის, ევროპული კონვენციის ესა და ეს მუხლი დაირღვაო და ჩვენს სასამართლოს რომ მიუთითებს, კეთილი ინებეთ და გამოასწორეთო.

***– მხოლოდ მითითება შეუძლია?***

– დიახ. სტრასბური ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ შეცვლის! ეს ხომ ყველამ კარგად ვიცით. უბრალოდ, ხელისუფლებას მიუთითებს, რომ გამოასწოროს რომელიმე დარღვეული მუხლი, თუკი ასეთი იქნება. რა შუაშია აქ გადადექი? ჯერ მიიღო სტრასბურმა გადაწყვეტილება?!

***– ეს ყველაფერი დროში ხომ არ გაიწელება?***

– უზენაესიდან სტრასბურამდე რომ წახვიდე, ექვსთვიანი ვადაა. ექვს თვეში უნდა შეიტანო საჩივარი. ნახავთ, თუ ბოლო დღეს არ შეიტანენ, იმიტომ, რომ დრო მოიგონ! იმ ექვს თვესაც მოიგებენ. მერე ილაპარაკონ მოსამართლეებზე, გადადექიო.

მოსამართლეებზე მე ჩემი წარმოდგენა მაქვს. მათ ის ცოდვებიც ეყოფათ, რომლებიც აქვთ. თუმცა მოვლენებს ნუ უსწრებენ და ხალხზე ნუ თამაშობენ. აღსრულების შეჩერებაზე მოსამართლეებს გადადგომას რატომ სთხოვენ?! ან ვინ ლაპარაკობს დღეს მოსამართლეებზე, სიტყვის თავისუფლებაზე? – გვარამია, რომელიც მთავარი პროკურორი იყო! ყველას კარგად გვახსოვს, თვითონ როგორი სიტყვის თავისუფლება ჰქონდათ!

## ადვოკატი ფანცულაია: „დეკანოზ გიორგი მამალაძეს უნდა, რომ პროკურატურის მასალა სრულად გასაჯაროვდეს“

– ჩემი და დეკანოზ გიორგი მამალაძის საერთო პოზიციაა, რომ პროკურატურის ხელთ არსებული აუდიო-ვიდეო მასალა თავიდან ბოლომდე გასაჯაროვდეს.

ამის შესახებ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ 10 მარტს ე.წ. მატროსოვის ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, აღნიშნული მასალის სრულად გასაჯაროების შემდეგ გაეცემა პასუხები იმ კითხვებს, რომლებიც დარჩა, კერძოდ, თუ რატომ ახსენებს დეკანოზი მამალაძე ჩანაწერებში შორენას და რას გულისხმობს, როდესაც ამბობს, რომ მარილზეა გასაშვები.

– საერთო პოზიცია გვაქვს, რომ გასაჯაროვდეს თავიდან ბოლომდე აუდიო-ვიდეო მასალა, რათა კითხვებს, რაც დარჩა, გაეცეს პასუხი. ეს დაადასტურებს იმას, თუ რატომ საუბრობს, რომ შორენა დასაბრედია და მარილზეა გასაშვები. რას გულისხმობდა ამ გამონათქვამებში და რამდენად იყო ზოგადად საუბარი ამ თემაზე, – განაცხადა გიორგი ფანცულაიამ.

მისივე თქმით, დაცვის მხარემ განიხილა სამოქმედო გეგმა, თუ როგორ აპირებენ საქმის წარმართვას სამომავლოდ.

– გავიარეთ საქმის მასალები და მტკიცებულებები. ერთობლივად ვიმსჯელეთ სამომავლო გეგმებზე, რასაც ჩვენ პარალელურად ვაპირებთ. მე მას ვუთანხმებ ყველა ნაბიჯს, თუმცა ამ გეგმებზე საჯაროდ ვერ ვისაუბრებ, – განაცხადა გიორგი ფანცულაიამ.

ბრალდებული დეკანოზი ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმაც მოინახულა, რომელმაც ასევე ისაუბრა შორენა თეთრუაშვილის მისამართით ნათქვამ სიტყვებზე.

– მარილზე გაშვება და თან ამ კითხვას სვამს ირაკლი მამალაძე, არ ნიშნავს იმას, ადამიანი მარილზე თუ მიდის, ე.ი. ის იღუპება, უნდა იყოს ზუსტად დადასტურებული, რომ ეს დანაშაულებრივი ქმედება ხორციელდებოდა და იყო დაგეგმილი გარკვეული ოპერაცია, როგორ უნდა მომხდარიყო აღნიშნული დანაშაული და როგორ უნდა განეხორციელებინა, – განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

## სუიციდი თუ ინტოქსიკაცია — 53 წლის მამაკაცი გარდაიცვალა

რუსთავში, ფალიაშვილის ქუჩაზე, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის ნამწვით ინტოქსიკაციის შედეგად 53 წლის მამაკაცი გარდაიცვალა, მისი მეუღლე კი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანა.

როგორც რუსთავის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში აცხადებენ, შუახნის მამაკაცი, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის ნამწვით ინტოქსიკაციის შედეგად გარდაიცვალა, მისი მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობა კი სტაბილურია და საავადმყოფოში გადის მკურნალობის კურსს.

16 თებერვლიდან დღემდე, რუსთავში ბუნებრივი აირის ნამწვით ინტოქსიკაციის შედეგად 7 ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის: 19 წლის მამაკაცი, 12 წლის ბიჭი და მისი ბებია, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, 84 წლის ქალი და 53 წლის მამაკაცი.

„სოკარ-ჯორჯია გაზის“ რუსთავის სერვის ცენტრში აცხადებენ, რომ ბუნებრივი აირის ნამწვით ინტოქსიკაციის გახშირებული შემთხვევების მიზეზი, მოსახლეობის მხრიდან ტექნიკური ნორმების დარღვევით თვითნებურად დამონტაჟებული წყლის გამათბობლებია. კომპანია მოსახლეობას მოუწოდებს, ერთკამერიანი წყლის გამათბობლები უსაფრთხო ე.წ. ორკამერიანი გამათბობლებით შეცვალონ, რათა თავიდან აირიდონ გაზით ინტოქსიკაცია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## აშშ-ის საელჩომ დაღუპული ქართველი პოლიციელი ქალის სახელობის ორდენი დააწესა



თბილისში დასრულდა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია – „ქალები პოლიციაში“, რომელიც საქართველოს შს სამინისტროს და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობდა. ღონისძიებაში 18 ქვეყნის 300-მდე პოლიციელი ქალი მონაწილეობდა.

კონფერენციის ფარგლებში, წელს პირველად აშშ-ის საელჩომ დააწესა კახეთის რეგიონში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პოლიციელის, მაია ჯავახიშვილის, სახელობის ორდენი.

პირველი ორდენები ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელს, მაია ფელიშვილს, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილი წვლილისთვის, და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილ ამერიკელ პოლიციელს, კორტნი გეილს გადაეცათ.

ღონისძიებას გარდაცვლილი ქართველი პოლიციელის და, თინათინ ჯავახიშვილიც, ესწრებოდა. ამერიკელ პოლიციელ ქალს მან ორდენი პირადად გადასცა.

კონფერენციაზე, ოთხი დღის განმავლობაში, ქალ სამართალდამცველებს სამართლებრივი სფეროს სხვადასხვა თემაზე ტრენინგები ჩაუტარდათ.

ღონისძიების მონაწილეებმა პრაქტიკული სავარჯიშოები შეასრულეს და ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს. დასასრულს, ყველა მონაწილეს შესაბამისი სერტიფიკატი გადაეცა.

კონფერენცია „ქალები პოლიციაში“ საქართველოში ყოველი წლის მარტში იმართება და სამართალდამცველების კვალიფიკაციის ამაღლებას, პოლიციელთა რიგებში ქალის როლის წარმოჩენასა და მათი მოტივაციის ამაღლებას ისახავს მიზნად.

**ნიუპოსტი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# თეთრი სახლის ტერიტორიაზე უცნობი მამაკაცი დააკავეს



უშიშროების სამსახურმა თეთრი სახლის ტერიტორიაზე უცნობი მამაკაცი დააკავა. მას ზურგჩანთა ეკიდა და დაცვის მოწოდებებზე არ რეაგირებდა.

მამაკაცს იარაღი არ აღმოაჩნდა.

# ტრამპმა პალესტინის ავტონომიის ლიდერი ვაშინგტონში მიიწვია



დონალდ ტრამპი პალესტინის ავტონომიის ლიდერ მაჰმუდ აბასს დაუკავშირდა. საუბარი ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას შეეხო.

ტრამპმა აბასი ვაშინგტონში მიიწვია.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მისი მიზანი ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება და სისხლისღვრის შეწყვეტაა. მას იმედი აქვს, რომ აბასის სახით ამ საქმეში საიმედო პარტნიორს იპოვის.

# ვიტალი ჩურკინის სიკვდილის მიზეზს არ გაასაჯაროებენ



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯულია ბოლსერმა განაცხადა, რომ რუსი დიპლომატის ვიტალი ჩურკინის სიკვდილის მიზეზებს არ გაასაჯაროებენ.

ჩურკინი თავისი დაბადების დღის წინ (65 წლის ხდებოდა) გარდაიცვალა. რუსული მხარე აცხადებს, რომ სიკვდილი გულის შეტევამ გამოიწვია.

ამერიკელები ამბობენ, რომ ექსპერტიზამ საინტერესო ფაქტები ამოატივტივა, თუმცა მეტი დაკონკრეტებისგან თავს იკავებენ.

— ჩურკინი დიპლომატი იყო, შესაბამისად, იმუნიტეტით სარგებლობდა. ეს მისი სიკვდილის შემდეგაც გრძელდება. ამიტომ მისი სიკვდილის მიზეზები არ გასაჯაროვდება, — აცხადებს ბოლსერი.

# 14 მარტიდან ბრექსიტი ძალაში შევა



ინგლისის პრემიერმა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ ლორდთა პალატა ბრექსიტის კანონპროექტში შესწორებებს აღარ შეიტანს. შესაბამისად, პარლამენტის ორივე პალატა დოკუმენტს მხარს დაუჭერს.

— 13 მარტისთვის ეს უკვე ოფიციალურად დაფიქსირდება, — ამბობს მეი.

პრემიერის განცხადებით, 14 მარტიდან ბრექსიტი ძალაში შევა, ანუ ბრიტანეთი ევროკავშირიდან გასვლის პროცედურებს დაიწყებს.

# გენერალი ფეოკლისტოვი როსნეფტიდან დაითხოვეს



როგორც „ნოვაია გაზეტა" იუწყება, როსნეფტის უშიშროების სამსახურის შეფი და პროფესიონალი ჩეკისტი, გენერალი ფეოკლისტოვი თანამდებობიდან მოხსნეს.

როსნეფტის პრესსამსახურმა ამის თაობაზე სპეციალური განცხადება გაავრცელა.

— „ნოვაია გაზეტა" ცრუობს და ამის გამო პასუხს აგებს, — ნათქვამია განცხადებაში.

პასუხად გაზეთმა კვლავ გაიმეორა: „ფეოკლისტოვი მოხსნეს. ჩვენ ამისი საბუთები გვაქვს და, თუკი როსნეფტს სურს, სასამართლოში გვიჩივლოს, ეს მისი უფლებაა".

— თუმცა როსნეფტის ხელმძღვანელობას ვაფრთხილებთ, რომ პროცესს აუცილებლად წააგებს, — წერს „ნოვაია გაზეტა".

ამის შემდეგ როსნეფტის ხელმძღვანელმა სეჩინმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ფეოკლისტოვი მათგან მართლაც წავიდა, მაგრამ ის არავის გაუგდია, უბრალოდ, სამსახური გამოიცვალა.

— გენერალი ფეოკლისტოვი ფსბ-ში დაბრუნდა, — თქვა სეჩინმა.

# ერდოღანი ნიდერლანდებს დაემუქრა

ჰოლანდიის ხელისუფლებამ თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე არ შეუშვა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩავუშოღლუ, რომელიც ამსტერდამში მცხოვრები თურქების მიტინგზე უნდა გამოსულიყო.

აქციის მიზანი თურქეთში დაგეგმილი რეფერენდუმის მხარდაჭერა გახლდათ. ამსტერდამის მერმა ღონისძიება აკრძალა და ამის შესახებ თურქეთს ოფიციალურად შეატყობინა.

— ჩვენ არ შეგვიძლია, ასეთ აქციაზე უსაფრთხოება უზრუნველვყოთ, — ნათქვამია ამსტერდამის მერის განცხადებაში.



თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა მომხდარის გამო აღშფოთება გამოთქვა. მან ჰოლანდიის ხელისუფლებას ნაცისტური უწოდა.

— ვერცერთი ჰოლანდიური დიპლომატიური თვითმფრინავი თურქეთში ვეღარ დაეშვება, — თქვა ერდოღანმა.

ჰოლანდიის პრემიერმა რიიუტმა ამ გამოსვლას უპასუხისმგებლო უწოდა.

— თურქეთის პრეზიდენტმა შეურაცხყოფა მოგვაყენა, — თქვა მან.

თურქეთის მინისტრმა ოჯახისა და სოციალური პოლიტიკის დარგში ფატმამ ნიდერლანდების ტერიტორიაზე შესვლა და ერდოღანის მხარდამჭერ აქციებში მონაწილეობა ცადა.

მინისტრი დააკავეს და პოლიციის თანხლებით გერმანიის საზღვრამდე მიაცილეს.

ამან ჰოლანდიაში მცხოვრები თურქები აღაშფოთა. როტერდამში თურქეთის საკონსულოსთან საპროტესტო აქცია გაიმართა. პოლიციამ მომიტინგეებს ცხენოსანი პოლიცია მიუსია. თურქების აქცია დაშალეს.

# დამასკოში ტერაქტი მოხდა

სირიის დიქტატორმა ასადმა განაცხადა, რომ ომის დამთავრებისა და მტრების განადგურების იმედი აქვს.

ტელევიზიით გამოსვლისას მან განაცხადა:

— უკვე წლის ბოლოსთვის ომი დამთავრდება და ჩვენ მტერს გავანადგურებთ!

ამ გამოსვლიდან თხუთმეტი წუთის შემდეგ სირიის დედაქალაქ დამასკოში ორი ძლიერი აფეთქება მოხდა.

დაღუპულია 59 ადამიანი.

პირველად ქუჩაში მლოცველებით სავსე ავტობუსი აფეთქდა. მეორე აფეთქება თვითმკვლელმა ტერორისტმა სხვა ავტობუსის მახლობლად განახორციელა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# ბიონსეს ქალიშვილი ფილმის პრემიერაზე 26.000-დოლარიანი კაბით მივიდა




მომღერალ ბიონსეს ქალიშვილი ფილმ „ლამაზმანისა და ურჩხულის" ჰოლივუდურ პრემიერაზე 26 ათას დოლარად ღირებულ კაბაში გამოწყობილი მივიდა.

ხუთი წლის ბლიუ აივიმ ღონისძიებაზე ჩაიცვა სამოსი, რომელიც შეესაბამებოდა არა მხოლოდ დედის ზურმუხტისფერ კაბას, არამედ მამის, მუსიკოს ჯეი ზის ჯინსის პიჯაკსაც. საზოგადოებაში გამოსასვლელად ოჯახმა გუჩის პროდუქცია შეარჩია.

ბლიუ აივი უკვე არაერთხელ გამოჩენილა საზოგადოებაში ძვირადღირებულ დიზაინერულ სამოსში. მაგალითად, ის ნბა-ს ვარსკვლავების მატჩს ესწრებოდა კაბაში, რომლის ფასი 1,8 ათას დოლარს შეადგენდა.

# 72 წლის ინდოელი დედა გახდა

ინდოეთის ქალაქ ამრიტსარის მცხოვრებმა ქალბატონმა, რომელიც პირველად დედა 72 წლის ასაკში გახდა, ჯანმრთელობის იმ პრობლემებზე ისაუბრა, რომელიც მას მშობიარობის შემდგომ დაეწყო.



დალჯინდერ კაურმა ბავშვი 2016 წლის აპრილში გააჩინა. მას შემდეგ ის მაღალი წნევით, ასევე სახსრების სისუსტით იტანჯება და მალე იღლება. ექიმებმა მას წამლები გამოუწერეს და დიეტის დაცვა ურჩიეს.

ინდოელმა ბავშვის ძუძუთი კვება მშობიარობიდან სამ თვეში შეწყვიტა, ვინაიდან რძე გაუშრა. მიუხედავად ბავშვის მცირე წონისა, ექიმებს მიაჩნიათ, რომ დროთა განმავლობაში ის წონაში საკმარისად მოიმატებს. აღსანიშნავია, რომ ჩვილმა უკვე დაიწყო ხოხვა.

ხანდაზმულმა ქალბატონმა დაფეხმძიმება მას შემდეგ შეძლო, როდესაც ის ორი წლის განმავლობაში ექსტრაკორპორალური განაყოფიერების კურსს გადიოდა. მისი შვილის ბიოლოგიური მამა მისი 80 წლის მეუღლე სინგჰ გილი გახდა.

აღსანიშნავია, რომ კაურიმ რაჯო დევი ლოჰანის მიღწევა გაიმეორა, რომელიც 2008 წელს მსოფლიოში პირველი ხანდაზმული ქალი გახდა, რომელიც ხელოვნური განაყოფიერებით დაფეხმძიმდა. ლოჰანი, რომელიც იმ მომენტისთვის 70 წლის იყო, მშობიარობის დროს წარმოქმნილი გართულებების გამო სიკვდილს გადაურჩა.

# ამერიკელმა ქალმა ბოთლში თავგაჭედილი მაჩვი გადაარჩინა



ამერიკის ვისკონსის შტატში ქალი დაეხმარა მაჩვს, რომელსაც თავი ბოთლში ჰქონდა გაჭედილი. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ბრენდი მაკნეილმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა.

ვიდეორგოლი სამ დღეში 7,4 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა. ინტერნეტმომხმარებლების უმრავლესობამ გოგონას არა მხოლოდ თამამი და კეთილშობილი უწოდა, არამედ იღბლიანიც, ვინაიდან მაჩვს მისთვის თავისი უსიამოვნო სუნი არ შეუსხურებია, რასაც ეს ცხოველი ყოველთვის მოიმოქმედებს, როგორც კი რაიმე საფრთხეს იგრძნობს.

# გერმანიის ზოოპარკში ვოლიერს თავდაღწეული დათვი მოკლეს



გერმანიის ქალაქ ოსნაბრუკის ზოოპარკის თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ, მოეკლათ დათვი, რომელმაც მოახერხა, გადაელახა ელექტროძაბვის ქვეშ არსებული ღობე და ვოლიერი დაეტოვებინა.

სანამ მტაცებელს ეძებდნენ, ზოოპარკის დამთვალიერებლები მაიმუნებისთვის განკუთვნილ დახურულ პავილიონში იყვნენ თავმოყრილნი. ცხოველი, რომელიც თეთრი და მურა დათვების ჰიბრიდს წარმოადგენდა და სახელად ტაპსი ერქვა, თავის და ტიპსთან ერთად ოსნაბრიუკის ზოოპარკის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემორო) — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# თბილისურ დერბიში ლოკომოტივმა იმარჯვა. ჩემპიონი კვლავ ვერ იგებს

**ლოკომოტივი-დინამო (თბ) 1:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 ქავთარაძე (57)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, უბილავა, გაბაძე, რეხვიაშვილი, ღონღაძე, ჭანტურია (ჩიტეიშვილი 61), კომახიძე (კიკნაძე 72), დიასამიძე, ქავთარაძე, გავაშელიშვილი (სამურქასოვი 67), სიხარულიძე.

**დინამო:** ლიტოვჩენკო, მიშენკო, გველესიანი, თოთაძე, არაბული (კვერნაძე 64), ქარდავა, ჩაკვეტაძე, ლოჩოშვილი, კიტეიშვილი, პაპუნაშვილი (კუცია 73), მიქელთაძე

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე თბილისური დერბი გაიმართა – ლოკომოტივმა დინამოს უმასპინძლა.

მატჩის პირველი სახიფათო მომენტი ბექა მიქელთაძის დარტყმულს მოჰყვა. საჯარიმოს მისადგომებიდან გასროლილი ბურთი რევაზ თევდორაძემ მოიგერია. 23-ე წუთზე სტუმრებმა მწვავედ შეუტიეს. ბაქარ ქარდავა შეიჭრა საჯარიმოში, გაცდა მეტოქის მცველს, მაგრამ გადაცემას სიზუსტე დააკლდა და სახიფათო მომენტი განიმუხტა. მომდევნო შეტევისას მასპინძელთა კარს შორი მანძილიდან ბოგდან მიშენკო ემუქრებოდა. შემდეგ ეპიზოდში მიქელთაძემ ითამაშა კარგად, ბურთი მეტოქეს აართვა, ზუსტი პასიც გააკეთა გიორგი ჩაკვეტაძის მიმართულებით, მაგრამ ამ უკანასკნელის დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

საპასუხოდ ირაკლი სიხარულიძე ამწვავებდა თამაშს, ბურთი სერგეი ლიტოვჩენკომ კუთხურზე უკუაგდო. შეხვედრის 36-ე წუთზე მას შემდეგ რაც ღონღაძემ კიტეიშვილზე იუხეშა, ლოკომოტივის კარის მიმართულებით სახიფათო საჯარიმო დაინიშნა. ბურთი ტექნიკურად, მაგრამ მცირედით არაზუსტად გიორგი პაპუნაშვილმა დაარტყა.

მეორე ნახევრის დებიუტში დინამომ 2 ძალიან სახიფათო შეტევა განახორციელა. პირველ შემთხვევაში პაპუნაშვილი ემუქრებოდა თევდორაძის კარს, მეორედ კი ჩაკვეტაძის გადაცემის შემდეგ ბაჩანა არაბული ამწვავებდა შეტევას. ორივე შემთხვევაში ლოკომოტივის მეკარემ ივარგა.

54-ე წუთზე უკვე სტუმართა კარი გადარჩა აშკარა ხიფათს, როდესაც მამია გავაშელიშვილმა ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა. მომდევნო შეტევისას კი, ლოკომოტივმა ანგარიში გახსნა: მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს საჯარიმოში უმეთვალყუროდ დარჩენილ ნოდარ ქავთარაძე დაუხვდა და ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი ლიტოვჩენკოს კარში – 1:0.

შემდეგი სახიფათო მომენტი კვლავ მასპინძლებმა შექმნეს: გიორგი კიკნაძის თავური ლიტოვჩენკომ ხელებში გააქვავა. 81-ე წუთზე დინამოელებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს. ქარდავას გადაცემის შემდეგ შეცვლაზე შემოსული კუცია გადიოდა მეკარესთან პირისპირ, იგი საჯარიმოს ხაზთან აკრძალული ილეთით შეაჩერეს. საკმაოდ საკამათო სიტუაცია შეიქმნა. დინამოს ფეხბურთელები თერთმეტმეტრიანს ითხოვდნენ, თუმცა არბიტრმა მხოლოდ საჯარიმო დანიშნა, რომელიც კიტეიშვილმა არაზუსტად შეასრულა. დინამოელები მასირებულ შეტევებზე გადავიდნენ. ისევ კიტეიშვილი ურტყავდა შორიდან, მაგრამ დარტყმულს სიძლიერე დააკლდა. საბოლოოდ აღარაფერი შეცვლილა – 1:0 ლოკომოტიველთა სასარგებლოდ.

**შუქურა-ტორპედო 1:1**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

1:0 შალამბერიძე (6), 1:1 ტუღუში (14)

**შუქურა:** ჯიოევი, ჩაჩუა, მახარაძე, კალანდია, ჯაფარიძე, ა.გურული, საბაძე (დაგარგულია 86), ჭეჟია (ართმელაძე 46) კლიმიაშვილი, კუტალია, შალამბერიძე (მამულაშვილი 20)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ადამაძე, გ.გურული, ქიმაძე, გიგაური, დოლიძე (მახარობლიძე 71), ბაბუნაშვილი (საბანაძე 62), კუხიანიძე, ტუღუში, კაპანაძე

ეროვნული ლიგის სასტარტო ტურში ტორპედოელებს ზედიზედ მეორედ სტუმრად მოუწიათ თამაში. თუმცა, „ეროსი მანჯგალაძეზე" მათ ფორმალური მასპინძელი ჰყავდათ – საკუთარი „ჩელე არენიდან" 3 მატჩით მოკვეთილი შუქურა, რომელმაც ეროვნული ლიგის სადებიუტო შეხვედრაში, იმავე „ეროსი მანჯგალაძეზე", მხოლოდ სტუმრის სტატუსით საპატიო ფრეს (1:1) მიაღწია ქვეყნის ჩემპიონ სამტრედიასთან. ჰოდა, ქობულეთელებთან არც ქვეყნის თასის მფლობელმა გაიხარა და ეს დაპირისპირებაც ფრედ, 1:1 დასრულდა.

მე-6 წუთზე ტორპედო მდევრის როლში აღმოჩნდა. ქობულეთელებმა კარგად ისარგებლეს მეტოქის დაცვის უხეში შეცდომით და ლევან კუტალიას პასით კობა შალამბერიძემ ახლოდან გადაგზავნა ბურთი ბადეში.

უნდა ითქვას, რომ აქედან მოყოლებული ქუთაისელები სრულ სათამაშო უპირატესობას დაეუფლნენ და გამუდმებით უტევდნენ ზღვისპირელთა კარს. მე-9 წუთზე ანგარიშის გათანაბრების საუცხოო შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან მეკარესთან პირისპირ გასულმა გრიგოლ დოლიძემ. 5 წუთის შემდეგ ანგარიში მაინც გათანაბრდა: ქობულეთელთა კიპერმა დაუდევრად დატოვა კარი და მას ეს შეცდომა ბექა ტუღუშმა არ აპატია, ტორპედოელმა მეტად მახვილი კუთხიდან ოსტატურად გადაგზავნა ბურთი ბადეში – 1:1.



ამის შემდგომ ჯიოევი პრაქტიკულად უშეცდომოდ ირჯებოდა. სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ ქობულეთელები შესვენებამდე რამდენჯერმე გადაურჩნენ გოლს. მეკარემ ზედიზედ ორჯერ დოლიძეს არ გაატანინა და არც თორნიკე კაპანაძეს დააწინაურებინა ტორპედო. გიორგი ქიმაძის დარტყმულისგან კი ქობულეთელები ლაშა ჯაფარიძემ იხსნა.

მარტო პირველ ტაიმში ტორპედოელებმა 9-ჯერ დაარტყეს კარის ჩარჩოში, ქობულეთელებმა ერთადერთხელ, მაგრამ ამ უპირატესობამ ანგარიშში ასახვა ვერ ჰპოვა.

მე-2 ნახევარში თამაშის ტემპმა ოდნავ იკლო, თუმცა მოედანზე უფრო აქტიურნი ისევ ქუთაისელები იყვნენ. 47-ე წუთზე სტანდარტულის შემდეგ გურამ ადამაძის სახიფათო თავური მცირედით აცდა მიზანს. ტორპედოელები კიდევ რამდენჯერმე დაემუქრნენ მეტოქის კარს, ოღონდ უშედეგოდ და საბოლოოდ მოსაგებ მატჩში ქულასღა დასჯერდნენ.

**კოლხეთი-საბურთალო 3:0**

**ქობულეთი. ჩელე არენა**

1:0, 2:0 ჯანელიძე (60, 72), 3:0 დაფე (81).

**კოლხეთი:** თებიძე, კილასონია, გოგონაია, კერძევაძე, ქებურია, დაფე (კოკაია 90), ოტიენო, ჯანელიძე, ჟიშკარიანი (ლუკავა 69), კოვტალიუკი (ბუხაიძე 84), ბოლქვაძე

**საბურთალო:** კუპატაძე, იაშვილი (ტერა 17), მარგველაშვილი, ცნობილაძე, სოფრომაძე (ფანცულაია 67), მამუჩაშვილი, ალთუნაშვილი (არზიანი 37), ვაგნერი, ხარაიშვილი, კოხრეიძე, შინდაგორიძე

**გაძევება:** არზიანი (45)

უხვგოლიანი შეხვედრა გაიმართა ქობულეთში, სადაც „ჩელე არენაზე" ერთმანეთს ფოთის კოლხეთი და თბილისის საბურთალო დაუპირისპირდნენ. შეხვედრა მასპინძელთა დამაჯერებელი გამარჯვებით 3:0 დასრულდა.

პირველ ნახევარში ორივე გუნდის კართან რამდენიმე მომენტი შეიქმნა, მაგრამ ტაიმი მაინც გატანილი გოლების გარეშე დასრულდა. შესვენებაზე დედაქალაქელებს ზურაბ არზიანი გაუძევეს და საბურთალო მე-2 ტაიმში მოედანზე კაცნაკლული გამოვიდა, რამაც შედეგი ანგარიშში ჰპოვა.

59-ე წუთზე ფოთელთა სენეგალელმა ლეგიონერმა არფანგ დაფემ რამდენიმე მეტოქე ჩამოიშორა და გიორგი ჯანელიძეს მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი, გამოზომილი დარტყმით დაბალ კუთხეში გაიტანა.

გატანილი გოლის შემდეგ კოლხეთმა კიდევ უფრო დიდი უპირატესობა მოიპოვა და 72-ე წუთზე ჯანელიძემ დუბლის გაფორმებაც მოახერხა. შეხვედრაში წერტილი არფანგ დაფემ დასვა, შემტევმა 81-ე წუთზე ტექნიკური დარტყმით მოახერხა ლაზარე კუპატაძის კარის აღება.

**სამტრედია-ჩიხურა 0:1**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

0:1 კორიფაძე (67)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, კასრაძე, მანჯგალაძე, რაჟამაშვილი, მარკოზაშვილი (ხაბეიშვილი 87), ბერიაშვილი, გოგიაშვილი, მჭედლიშვილი, დათუნაიშვილი, სამუშია (ჩაგელიშვილი 68)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, განუგრავა, გაბედავა, სარდალიშვილი (ივანიშვილი 46), კორიფაძე, კაკუბავა, ჩიკვაიძე, დობროვოლსკი, ჭელიძე, გორგიაშვილი (მირცხულავა 83), გელაშვილი (დეკანოიძე 72)

ქვეყნის ჩემპიონი სამტრედია უკვე მე-2 ტურია საშინაო „ეროსი მანჯგალაძეზე" ვერ იგებს. თუ პირველ მატჩში სამტრედია ქობულეთის შუქურას დაუზავდა, ამჯერად საჩხერის ჩიხურასთან წააგო.

გადამწყვეტი გოლი 67-ე წუთზე გიორგი კორიფაძის ანგარიშზეა – ჩიხურას მცველმა მახვილი კუთხიდან ძლიერი და ზუსტი დარტყმით მოახერხა გატანა.

გოლამდეც და გოლის შემდეგაც ორივე გუნდის კართან საკმაო რაოდენობის რეალური მომენტები შეიქმნა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ფეხბურთელებს სიზუსტე არ ჰყოფნიდათ და შესაბამისად შეხვედრაში მეტი გოლი აღარ გასულა.

**დილა-დინამო (ბთ) 0:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

0:1 კვასოვი (85)

**დილა:** მუჯრიშვილი, მაჩაიძე, ქარქუზაშვილი, ეტოუ, გაგოშიძე, პაპავა, წიქარიძე (წიქარიძე 87), ნონიკაშვილი (კირკიტაძე 74), რიბეირო, ძარია, ლეონარდო დო როსარიო (ტარავალე 61)

**დინამო:** ტიმოფეევი, სუხიაშვილი, ქავთარაძე (ფარტენაძე 65), კვირკველია, გოგიტიძე, ტვილდიანი ( კენედი, 75), თარხნიშვილი, კვასოვი, შონია, ფლამარიონი, ფონიავა (თევდორაძე 55)

გორელებმა საკუთარ „თენგიზ ბურჯანაძეზე" ბათუმის დინამოს უმასპინძლეს და მინიმალური ანგარიშით 0:1 დამარცხდნენ. დინამოელებმა გამარჯვების გოლის გატანა მატჩის მიწურულს მოახერხეს, ანზორ სუხიაშვილის ჩაწოდების შემდეგ ბათუმელთა უკრაინელმა ლეგიონერმა, იაროსლავ კვასოვმა ერთი შეხებით ბურთი მეკარისაგან შორეულ კუთხეში გადაგზავნა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 2.ჩიხურა | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3.კოლხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 4.დინამო (ბთ) | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 5.დინამო (თბ) | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 6.საბურთალო | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 7.შუქურა | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 8.ტორპედო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 9.სამტრედია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 10.დილა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

## შედეგები

### 11 მარტი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. თასი**

მიდლსბრო-სიტი ............................ 0:2
არსენალი-ლინკოლნი .................... 5:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბორნმუთი-ვესტ ჰემი ..................... 3;2
ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი ............ 3:0
ჰალი-სუონსი .................................. 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 27 | 21 | 3 | 3 | 57-20 | 66 |
| 2.ტოტენჰემი | 27 | 16 | 8 | 3 | 53-20 | 56 |
| 3.სიტი | 27 | 17 | 5 | 5 | 53-29 | 56 |
| 4.ლივერპული | 27 | 15 | 7 | 5 | 58-34 | 52 |
| 5.არსენალი | 26 | 15 | 5 | 6 | 55-31 | 50 |
| 6.მანჩესტერი | 26 | 13 | 10 | 3 | 39-22 | 49 |
| 7.ევერტონი | 28 | 13 | 8 | 7 | 47-30 | 47 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 28 | 11 | 7 | 10 | 36-37 | 40 |
| 9.სტოკი | 28 | 9 | 9 | 10 | 32-40 | 36 |
| 10.საუთჰემპტონი | 26 | 9 | 6 | 11 | 32-34 | 33 |
| 11.ვესტ ჰემი | 28 | 9 | 6 | 13 | 38-49 | 33 |
| 12.ბარნლი | 27 | 9 | 4 | 14 | 30-40 | 31 |
| 13.უოტფორდი | 27 | 8 | 7 | 12 | 33-47 | 31 |
| 14.ბორნმუთი | 28 | 8 | 6 | 14 | 40-54 | 30 |
| 15.ლესტერი | 27 | 7 | 6 | 14 | 30-45 | 27 |
| 16.სუონსი | 28 | 8 | 3 | 17 | 36-61 | 27 |
| 17.კრ.პალასი | 27 | 7 | 4 | 16 | 35-46 | 25 |
| 18.ჰალი | 28 | 6 | 6 | 16 | 26-54 | 24 |
| 19.მიდლსბრო | 27 | 4 | 10 | 13 | 19-30 | 22 |
| 20.სანდერლენდი | 27 | 5 | 4 | 18 | 24-50 | 19 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ასტონ ვილა-უენსდი ...................... 2:0
ბარნსლი-იფსვიჩი ......................... 1:1
ბრენტფორდი-ჰადერსფილდი ....... 0:1
ბარტონი-ნოტინგემი ...................... 1:0
კარდიფი-ბირმინგემი .................... 1:1
ლიდსი-ქპრ ..................................... 0:0
ნიუკასლი-ფულემი ......................... 1:3
ნორვიჩი-ბლექბერნი ...................... 2:2
პრესტონი-რედინგი ....................... 3:0
უიგანი-ბრისტოლი ........................ 0:1
ვულვზი-როტერჰემი ...................... 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალენსია-ხიხონი ........................... 1:1
სევილია-ლეგანესი ........................ 1:1
მალაგა-ალავესი ............................ 1:2
გრანადა-ატლეტიკო ....................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 26 | 18 | 6 | 2 | 76-21 | 60 |
| 2.რეალი | 25 | 18 | 5 | 2 | 67-26 | 59 |
| 3.სევილია | 27 | 17 | 6 | 4 | 51-31 | 57 |
| 4.ატლეტიკო | 27 | 15 | 7 | 5 | 49-22 | 52 |
| 5.სოსიედადი | 26 | 15 | 3 | 8 | 42-36 | 48 |
| 6.ვილიარეალი | 26 | 12 | 9 | 5 | 38-19 | 45 |
| 7.ბილბაო | 26 | 12 | 5 | 9 | 32-30 | 41 |
| 8.ეიბარი | 26 | 11 | 6 | 9 | 42-37 | 39 |
| 9.ესპანიოლი | 27 | 10 | 9 | 8 | 39-38 | 39 |
| 10.ალავესი | 27 | 9 | 10 | 8 | 28-33 | 37 |
| 11.სელტა | 25 | 10 | 5 | 10 | 39-44 | 35 |
| 12.ლას პალმასი | 27 | 8 | 8 | 11 | 43-45 | 32 |
| 13.ვალენსია | 27 | 8 | 6 | 13 | 36-47 | 30 |
| 14.ბეტისი | 26 | 7 | 7 | 12 | 28-42 | 28 |
| 15.მალაგა | 27 | 6 | 8 | 13 | 33-45 | 26 |
| 16.ლეგანესი | 27 | 6 | 7 | 14 | 22-41 | 25 |
| 17.დეპორტივო | 26 | 5 | 9 | 12 | 29-41 | 24 |
| 18.გრანადა | 27 | 4 | 7 | 16 | 24-55 | 19 |
| 19.ხიხონი | 27 | 4 | 6 | 17 | 28-56 | 18 |
| 20.ოსასუნა | 26 | 1 | 7 | 18 | 27-64 | 10 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მალიორკა-ლუგო ............................ 1:1
ნუმანსია-ოვიედო ........................... 0:0
ვალიადოლიდი-ლევანტე ............... 0:4
მირანდესი-მურსია ......................... 1:1
კორდობა-სარაგოსა ........................ 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-აინტრახტი ........................ 3:0
ჰერტა-დორტმუნდი .......................... 2:1
დარმშტადტი-მაინცი ....................... 2:1
ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი ................. 1:1
ლაიპციგი-ვოლფსბურგი ................. 0:1
ინგოლშტადტი-კიოლნი .................. 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 24 | 18 | 5 | 1 | 60-13 | 59 |
| 2.ლაიპციგი | 24 | 15 | 4 | 5 | 43-25 | 49 |
| 3.დორტმუნდი | 24 | 12 | 7 | 5 | 53-27 | 43 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 24 | 10 | 12 | 2 | 45-25 | 42 |
| 5.ჰერტა | 24 | 12 | 4 | 8 | 32-26 | 40 |
| 6.აინტრახტი | 24 | 10 | 5 | 9 | 26-27 | 35 |
| 7.კიოლნი | 24 | 8 | 10 | 6 | 33-27 | 34 |
| 8.ფრაიბურგი | 24 | 10 | 4 | 10 | 31-41 | 34 |
| 9.გლადბახი | 23 | 9 | 5 | 9 | 29-31 | 32 |
| 10.ლევერკუზენი | 24 | 9 | 4 | 11 | 37-39 | 31 |
| 11.მაინცი | 24 | 8 | 5 | 11 | 33-40 | 29 |
| 12.აუგსბურგი | 23 | 7 | 7 | 9 | 23-30 | 28 |
| 13.შალკე | 23 | 7 | 6 | 10 | 28-27 | 27 |
| 14.ვოლფსბურგი | 24 | 7 | 5 | 12 | 22-34 | 26 |
| 15.ვერდერი | 24 | 7 | 5 | 12 | 31-44 | 26 |
| 16.ჰამბურგი | 23 | 6 | 5 | 12 | 22-45 | 23 |
| 17.ინგოლშტადტი | 24 | 5 | 4 | 15 | 23-41 | 19 |
| 18.დარმშტადტი | 24 | 4 | 3 | 17 | 17-46 | 15 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-მიუნხენი ......................... 1:0
ვიურცბურგი-დინამო ...................... 0:2

**იტალია. სერია ა**

ჯენოა-სამპდორია ........................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 28 | 23 | 1 | 4 | 58-19 | 70 |
| 2.რომა | 27 | 19 | 2 | 6 | 58-25 | 59 |
| 3.ნაპოლი | 27 | 17 | 6 | 4 | 62-30 | 57 |
| 4.ლაციო | 27 | 16 | 5 | 6 | 47-29 | 53 |
| 5.ატალანტა | 27 | 16 | 4 | 7 | 42-26 | 52 |
| 6.ინტერი | 27 | 16 | 3 | 8 | 46-28 | 51 |
| 7.მილანი | 28 | 15 | 5 | 8 | 41-32 | 50 |
| 8.ფიორენტინა | 27 | 11 | 9 | 7 | 44-37 | 42 |
| 9.სამპდორია | 28 | 11 | 8 | 9 | 35-33 | 41 |
| 10.ტორინო | 27 | 10 | 9 | 8 | 51-43 | 39 |
| 11.კიევო | 27 | 10 | 5 | 12 | 29-37 | 35 |
| 12.სასუოლო | 27 | 9 | 4 | 14 | 35-42 | 31 |
| 13.კალიარი | 27 | 9 | 4 | 14 | 36-57 | 31 |
| 14.უდინეზე | 27 | 8 | 6 | 13 | 29-36 | 30 |
| 15.ჯენოა | 28 | 7 | 8 | 13 | 30-42 | 29 |
| 16.ბოლონია | 27 | 7 | 7 | 13 | 24-41 | 28 |
| 17.ემპოლი | 27 | 5 | 7 | 15 | 15-39 | 22 |
| 18.პალერმო | 27 | 3 | 6 | 18 | 23-53 | 15 |
| 19.კროტონე | 27 | 3 | 5 | 19 | 21-45 | 14 |
| 20.პესკარა | 27 | 2 | 6 | 19 | 28-60 | 12 |

**იტალია. სერია ბ**

სპეცია-აველინო ............................. 2:1
სალერნიტანა-ბრეშა ....................... 2:0
სპალი-ჩეზენა ................................. 2:0
ბარი-ფროზინონე ............................ 1:0
ჩიტადელა-პერუჯა ......................... 1:1
ბენევენტო-ენტელა ........................ 0:0
ლატინა-კარპი ................................ 0:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონაკო-ბორდო .............................. 2:1
ნანსი-ლილი ................................... 1:2
მონპელიე-ნანტი ............................. 2:3
რენი-დიჟონი .................................. 1:1
გენგამი-ბასტია ............................... 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 29 | 21 | 5 | 3 | 84-26 | 68 |
| 2.ნიცა | 29 | 18 | 9 | 2 | 47-23 | 63 |
| 3.პსჟ | 28 | 19 | 5 | 4 | 56-19 | 62 |
| 4.ლიონი | 27 | 15 | 2 | 10 | 55-32 | 47 |
| 5.მარსელი | 29 | 13 | 6 | 10 | 43-37 | 45 |
| 6.ბორდო | 29 | 11 | 10 | 8 | 37-36 | 43 |
| 7.სტ.ეტიენი | 28 | 10 | 10 | 8 | 31-22 | 40 |
| 8.გენგამი | 29 | 10 | 8 | 11 | 37-36 | 38 |
| 9.რენი | 29 | 9 | 11 | 9 | 28-33 | 38 |
| 10.ნანტი | 29 | 10 | 7 | 12 | 27-43 | 37 |
| 11.ტულუზა | 28 | 9 | 9 | 10 | 32-29 | 36 |
| 12.ანჟე | 29 | 10 | 6 | 13 | 28-38 | 36 |
| 13.მონპელიე | 29 | 8 | 9 | 12 | 42-49 | 33 |
| 14.ლილი | 29 | 9 | 6 | 14 | 29-37 | 33 |
| 15.კაენი | 29 | 9 | 5 | 15 | 31-48 | 32 |
| 16.მეცი | 27 | 8 | 7 | 12 | 26-51 | 31 |
| 17.დიჟონი | 29 | 6 | 10 | 13 | 38-46 | 28 |
| 18.ნანსი | 29 | 7 | 7 | 15 | 19-37 | 28 |
| 19.ბასტია | 29 | 5 | 10 | 14 | 24-43 | 25 |
| 20.ლორიანი | 28 | 6 | 4 | 18 | 28-57 | 22 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

სტრასბური-ბრესტი ........................ 4:1

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

დენ ჰააგი-ნაიმეგენი ....................... 1:0
იგლზი-პსვ ..................................... 1:3
ერაკლესი-უტრეხტი ......................... 2:1
ექსელსიორი-ჰერენვენი .................. 4:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

სეტუბალი-ფეირენშე ....................... 1:2
შავიში-ბრაგა .................................. 0:0
ტონდელა-სპორტინგი ..................... 1:4

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-კრილია ................................... 1:0
ცსკა-ტომი ...................................... 4:0
რუბინი-ორენბურგი ......................... 0:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-მოზერველი ..................... 1:0
პარტიკი-ინვერნესი ......................... 1:1
როსი-კილმანროკი .......................... 1:2
სტ.ჯონსონი-დანდი ......................... 2:0
ჰართსი-ჰამილტონი ......................... 4:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-ვადუცი ..................... 1:2
სტ.გალენი-ლუცერნი ....................... 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

სტ.პოლენი-რიდი ............................ 1:0
ადმირა-ზალცბურგი ........................ 1:1
აუსტრია-ვოლფსბერგერი ................ 3:0
ალტახი-მატერსბურგი .................... 3:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-პანეთოლიკოსი ................... 0:0
პანიონიოსი-ლარისა ...................... 1:0
ირაკლისი-პანათინაიკოსი .............. 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაბუქი-ადანა .............................. 2:0
ოსმანლი-ბურსა .............................. 1:1
გაზიანთეპი-ქაშიმფაშა .................. 0:2
გალათასარაი-გენჩლერი ................. 3:2

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

იიჰლავა-კარვინა ........................... 2:4
დუკლა-იაბლონეცი ......................... 1:0
ზლინი-სლოვაცკო ........................... 1:1
პრჟიბრჟამი-ჰრადეც კრალოვე ..... 1:0
ბრნო-ბოჰემიანსი 1905 .................. 0:0
პლზენი-ლიბერეცი ......................... 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პლოცკი-ნეცეჩა .............................. 1:0
რუხი-ლეხია .................................... 2:1
იაგელონია-კორონა ........................ 4:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლიმპიკი-ვორსკლა ....................... 3:2
ჩერნომორეცი-სტალი ..................... 0:1
ოლექსანდრია-დნიპრო ................... 0:0
კარპატი-ვოლინი ............................ 2:1

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-ვიბორგი ........................ 1:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა არის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია

ეკა ირემაშვილი

კვლევის თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ და მაღალინფორმაციულ მეთოდებს შორის მაგნიტურ-რეზონანსულ და კომპიუტერულ ტომოგრაფიებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამა თუ იმ პათოლოგიის დიაგნოსტიკაში გადამწყვეტ სიტყვას ხშირად სწორედ ისინი ამბობენ.

რა არის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია და რა სიხშირით არის რეკომენდებული მისი გაკეთება? – ამ თემებზე „ავერსის კლინიკის“ რადიოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი, ექიმი-რადიოლოგი ირაკლი გახოკიძე საუბრობს.

**ირაკლი გახოკიძე:**

– კვლევის თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ და მაღალინფორმაციულ მეთოდებს შორის მაგნიტურ-რეზონანსულ და კომპიუტერულ ტომოგრაფიებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამა თუ იმ პათოლოგიის დიაგნოსტიკაში გადამწყვეტ სიტყვას ხშირად სწორედ ისინი ამბობენ.

***– რით განსხვავდება ერთმანეთისგან მაგნიტურ-რეზონანსული და კომპიუტერული ტომოგრაფია?***

– დავიწყებ იმით, რომ ჯერ კიდევ 70-იან წლებში რამდენიმე საინტერესო გამოკვლევაზე დაყრდნობით, სხვათა შორის, არა მედიკოსებმა, არამედ ფიზიკოსებმა და ქიმიკოსებმა გამოაქვეყნეს ნაშრომები, რომლებშიც განმარტებული და დასაბუთებული იყო, რომ მაგნიტურ რეზონანსზე დაფუძნებით შესაძლებელია ცოცხალი ორგანიზმიდან განსაზღვრული გამოსახულების მიღება. ამ მიმართულებით შემდგომაც არაერთი კვლევა განხორციელდა და მუშაობა დღესაც გრძელდება. მიუხედავად ძალზე დახვეწილი აპარატების არსებობისა, რადიოლოგიის ეს დარგი კვლავაც განაგრძობს განვითარებასა და სრულყოფას. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია ორგანიზმში არსებული წყალბადის ატომბირთვებისგან ინფორმაციის მიღებას გულისხმობს. გამოკვლევის არსი ასეთია: მაგნიტური რეზონანსის პრინციპზე დაყრდნობით ხდება ორგანიზმში არსებული ატომბირთვების აღგზნება, რაც უკან სიგნალის სახით გვიბრუნდება, ამ სიგნალის კომპიუტერული დამუშავებით კი მიიღება გამოსახულება.

კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსულისგან განსხვავებით, რენტგენის სხივების გამოყენებას ეფუძნება. სხეულის განსაზღვრული უბნის დასხივებით ორგანიზმის შრეობრივ გამოსახულებას ვიღებთ. აღმოჩნდა, რომ მაგნიტური რეზონანსი განსაკუთრებით ინფორმაციულია ნერვული სისტემის, კერძოდ, ცენტრალური ნერვული სისტემის კვლევის დროს. თუ თვალს გადავავლებთ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის შესწავლისა და სრულყოფის გზას ან განვიხილავთ მასზე დაყრდნობით ჩატარებულ შრომებს, დავინახავთ, რომ მათი უდიდესი ნაწილი ნერვული სისტემის კვლევას ეხება. აქვე დავაზუსტებ: მართალია, ცენტრალური ნერვული სისტემის გამოკვლევა-შესწავლაში მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიას პრიორიტეტული დატვირთვა ენიჭება, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კვლევის აღნიშნული მეთოდი სხვა ორგანოებსა და ქსოვილებთან მიმართებით არაინფორმაციულია.

***– რა შემთხვევაში უნდა გაიკეთოს პაციენტმა კომპიუტერული ტომოგრაფია და რა შემთხვევაში – მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია?***

– ტრავმის დროს, თავის ტვინში სისხლჩაქცევაზე ეჭვის შემთხვევაში, ანუ სასწრაფო, გადაუდებელ შემთხვევაში ვატარებთ კომპიუტერულ ტომოგრაფიას. ფილტვების კვლევაც უნდა ჩატარდეს კომპიუტერული ტომოგრაფით. გეგმური კვლევები: თავის ტვინის, ზურგის ტვინის, სანაღვლე გზების, ღვიძლის, მცირე მენჯის ღრუს ორგანოების, სახსრების უნდა ჩატარდეს მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფზე. ეს ორი კვლევა ზოგჯერ ერთმანეთს ავსებს და არ გამორიცხავს.

***– რომელი კვლევაა საქართველოში დეფიციტური და კეთდება თუ არა ავერსის კლინიკაში?***

– ავერსის კლინიკაში ხელმისაწვდომია მაღალტექნოლოგიური კვლევების სრული სპექტრი, ისეთი, როგორიცაა მაგნიტურ-რეზონანსული პერფუზია, ტრაქტოგრაფია, სპექტროსკოპია. შედარებით დეფიციტური იყო მაგნიტურ-რეზონანსული მამოგრაფია, რაც ავერსის კლინიკაში ტარდება უახლეს 3 ტესლა სიმძლავრის ტომოგრაფზე. ვატარებთ ყველა ორგანოსა და სისტემის კვლევას, რუტინული თავის ტვინის კვლევიდან დაწყებული, მთელი სხეულის მაგნიტურ-რეზონანსული კვლევით დასრულებული.



ირაკლი გახოკიძე

***– მაგნიტურ-რეზონანსულ მამოგრაფიას რა უპირატესობა აქვს კვლევის სხვა მეთოდებისგან განსხვავებით?***

– მაგნიტურ-რეზონანსული მამოგრაფია არის სარძევე ჯირკვლის მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა რენტგენის გამოსხივების გარეშე, გვაძლევს უზუსტეს ინფორმაციას უმცირესი წარმონაქმნების შესახებ. კვლევის სხვა მეთოდებისგან განსხვავებით, მაგნიტურ-რეზონანსული მამოგრაფიის უპირატესობაა მკერდის რბილი ქსოვილებისა და იღლიის ფოსოების შეფასების შესაძლებლობა და ერთდროულად ორივე სარძევე ჯირკვლის კვლევა დასხივების გარეშე.

***– თავის ტკივილის შემთხვევაში რომელი ჯობია, კომპიუტერული თუ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია?***

– თავის ტვინის გეგმური კვლევის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფია მაღალტექნოლოგიური კვლევის მეთოდია. შესაძლებელია დამატებით თავის ტვინის სისხლძარღვების უკონტრასტო ანგიოგრაფიული გამოსახულების მიღება უმოკლეს დროში და, რაც მთავარია, დასხივების გარეშე, კომფორტულ გარემოში, მუსიკისა და ვიდეოგამოსახულების თანხლებით.

***– რომელი ორგანოები ჩანს კუჭ-ნაწლავის მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის დროს და მტკივნეულია თუ არა კვლევა?***

– მაგნიტურ-რეზონანსული ენტეროგრაფიული კვლევისთვის პაციენტის მომზადება წინასწარ ხდება და კვლევა უმტკივნეულოდ ტარდება უახლეს 3 ტესლა მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფზე. კვლევის პროცესში ფასდება მუცლისა და მენჯის ღრუს ორგანოები: ღვიძლი, ელენთა, ნაღვლის ბუშტი, თირკმელზედა ჯირკვლები, თირკმლები, პანკრეასი, შარდის ბუშტი და მენჯის ღრუს ორგანოები.

***– რა დრო სჭირდება მთლიანი ხერხემლის გამოკვლევას?***

– მთლიანი ხერხემლის სრული გამოკვლევა 1,5 ტესლა მაგნიტზე დაახლოებით 30 წუთშია შესაძლებელი, რაც ფილიპსის ერთ-ერთი უპირატესობაა, სხვა მოდელებისგან განსხვავებით.

***– აქვს თუ არა კვლევის ამ ორ მეთოდს უარყოფითი შედეგები და უკუჩვენება?***

– კომპიუტერული ტომოგრაფია რენტგენის სხივით დასხივებას ეფუძნება. რენტგენის გამოსხივება მაიონიზებელი გამოსხივებაა, თუმცა კი თანამედროვე რენტგენის აპარატებსა და კომპიუტერულ ტომოგრაფებზე ორგანიზმის დასხივება მინიმუმამდეა დაყვანილი. რაც შეეხება მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიას, ორგანიზმზე მისი მავნე ზემოქმედება დადგენილი არ არის. სამედიცინო-დიაგნოსტიკურ პრაქტიკაში უმთავრესად 1,5 ტესლა მაგნიტური ველის ინდუქციის მქონე მაგნიტებს იყენებენ. თავის ტვინის ზოგიერთი პათოლოგიის შედარებით ნატიფი კვლევისთვის შესაძლოა გამოყენებულ იქნეს 3 ტესლა მაგნიტებიც. 7 და უფრო მაღალი სიმძლავრის მაგნიტები ნებადართულია მხოლოდ სამეცნიერო კვლევებისთვის, ცხოველებზე მიმდინარე ექსპერიმენტებისთვის. კომპიუტერულ ტომოგრაფიას კონკრეტული შეზღუდვა არ გააჩნია, თუმცა ორსულობისას აუცილებელი ჩვენების გარეშე კომპიუტერულ-ტომოგრაფიული გამოკვლევის ჩატარება არ არის რეკომენდებული. სასიცოცხლო ჩვენების გარეშე ასევე არ არის მიზანშეწონილი პირველ ტრიმესტრში ძლიერი მაგნიტის გამოყენებაც. მაგნიტური ველი საფრთხეს უქმნის გულის რიტმის ხელოვნური მატარებლის სწორ ფუნქციონირებას, ამიტომ მათთვის, ვისაც ელექტროკარდიოსტიმულატორი აქვს ჩანერგილი, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის ჩატარება ნებადართული არ არის.

***– რა სიხშირით შეიძლება მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის ჩატარება?***

– კვლევის სიხშირის თვალსაზრისით მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიაზე შეზღუდვა დაწესებული არ გახლავთ. კომპიუტერული ტომოგრაფიაც, სათანადო კლინიკური ჩვენების შემთხვევაში, მაგალითად, ოპერაციის შემდგომ პერიოდში შედეგის კონტროლისათვის, დინამიკაში დაკვირვებისათვის, შეიძლება, საკმაოდ ხშირად ჩავატაროთ. მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევისას სხივური დატვირთვა არ გამოიყენება, ამიტომ მეთოდი მისაღებია ორსულისთვის, მეძუძური დედისთვის, ბავშვისთვის, ვატარებთ ნაყოფის კვლევასაც კი. ასე რომ, კვლევებს შორის პაციენტს ინტერვალის შეზღუდვა არა აქვს.

***– რა ტაქტიკას მიმართავთ, როცა ადამიანს აქვს დახურული სივრცის შიში და გამოკვლევა აუცილებელია?***

– მოგეხსენებათ, კვლევის პროცესში პაციენტი არ უნდა მოძრაობდეს, მით უმეტეს, თუ კლაუსტროფობია ემატება, პრობლემას ანესთეზიოლოგის დახმარებით ვაგვარებთ. ანესთეზიოლოგი ბავშვს თუ მოზრდილს სედაციას, ანესთეზიას უტარებს კვლევის წინ. ანესთეზიამდე პაციენტის სპეციალური მომზადება ტარდება. მაგნიტურ-რეზონანსული კვლევისთვის საჭირო ანესთეზია და სედაცია ხანმოკლეა. როგორც წესი, პაციენტი კვლევის დასრულების შემდეგ მალევე იღვიძებს. მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიაში მაგნიტთან თავსებადი სპეციალური აპარატურაა საჭირო. ჩვენი კლინიკის რადიოლოგიური სამსახური აღჭურვილია ყველა საჭირო აპარატურითა და საშუალებით, რაც კი სჭირდება რეანიმაციულ და მართვით სუნთქვაზე მყოფ პაციენტებს კვლევის პროცესში. გვყავს გამოცდილი ანესთეზიოლოგი-რეანიმატოლოგი, რომელიც მართავს პაციენტს კვლევის პროცესში.

***– როდის არ შეიძლება გამოკვლევის ჩატარება, ანუ რა არის კვლევის უკუჩვენება? შეიძლება თუ არა, გამოკვლევა ჩაუტარდეს ადამიანს, თუ მას აქვს, მაგალითად, სტენტი ან გულის რიტმის რეგულატორი?***

– ჯერჯერობით ერთადერთი მკაცრი შეზღუდვაა გულის რიტმის წამყვანი – პეისმეიკერი, რომელიც ძლიერი მაგნიტური ველის ზემოქმედების გამო, შესაძლოა, მწყობრიდან გამოვიდეს და სავალალო შედეგი გამოიწვიოს. სტენტირებიდან მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის კვლევამდე შუალედი უნდა იყოს 3-4 კვირა. კოხლეარული იმპლანტატი პრობლემას არ წარმოადგენს, სმენის აპარატი გამოკვლევის დროს შეიძლება მოიხსნას, მენჯ-ბარძაყის ხელოვნური თანამედროვე სახსრებიც მაგნიტურად ინერტულია, ისევე, როგორც ხერხემლის თანამედროვე ფიქსატორები.

***– შეიძლება თუ არა ამ გამოკვლევის ჩატარება ორსულისათვის? მეძუძური დედისთვის ან მცირეწლოვანი ბავშვისთვის ხომ არ არის შეზღუდვა?***

– ორსულობის მეორე ტრიმესტრიდან მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა ჩვეულებრივ ტარდება. კომპიუტერული ტომოგრაფია, რა თქმა უნდა, არ არის რეკომენდებული ორსულობის პერიოდში. მეძუძურ დედებზე და ბავშვებზე, ისევე, როგორც მოზარდებზე, მრტ კვლევის უარყოფითი გავლენა შესწავლილი არ არის და ტარდება ჩვეულებრივ, შეზღუდვების გარეშე.

## სკანვორდი




1. იუპიტერის თანამგზავრი; 2. ... ამოს კომენსკი; 3. ფორტი საფრანგეთში; 4. სოლო სიმღერა ოპერაში; 5. ბოლო ნოტი; 6. საგნის კონტური; 7. ესპანეთის საფეხბურთო გუნდი; 8. ... სტრავინსკი; 9. საფეიქრო ბანანი; 10. მთა ყვარლის რაიონში; 11. მოხეტიალე მლოცველი; 12. ზოგი მცენარის ან ცხოველის თავდაცვითი შეგუება გარემოსთან; 13. შაშის სახეობა; 14. სავაზნე ჩანთა; 15. მიკროსკოპის ერთგვარი ობიექტივი; 16. ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში; 17. კაცო, ბიჭო (ჟარგონი); 18. მოკლე მუსიკალური მისალმება; 19. დაუქორწინებლობა; 20. ქართული გაზეთი; 21. ნუშის ლიქიორი; 22. ქიმიური ელემენტი; 23. კოლხი მედეას დედა; 24. იგივე არეზი (მტკვრის შენაკადი); 25. მდინარე ციმბირში; 26. ... კალნინში; 27. სახელმწიფო ევროპაში; 28. იაპონური თეატრი; 29. ომის უკუსიდიდე (ფიზიკა); 30. ქვემოდან დარტყმა კრივში; 31. უარყოფითი ნაწილაკი; 32. ინდური ეპოსი; 33. ყვავილი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტალახაძე; 2. „ზანდური“; 3. ბიეფი; 4. ბაირამი; 5. ნუსხური; 10. ბარიტონი; 11. რეპორტიორი; 12. ევტერპე; 15. დრომადერი; 16. აგუერო; 17. რაზდანი; 20. კასიო.

**თარაზულად:** 6. ჟანდარმერია; 7. ფაიფური; 8. სპინოზა; 9. დინარი; 13. რინა; 14. თელავი; 18. სერვოლანი; 19. კამიუ; 21. იანძი; 22. შოპენი; 23. პილიგრიმი; 24. „ერისიონი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქოქოსი; 2. ფატუმი; 3. იუანი; 5. ბაკი; 6. ქართლი; 8. ზაჰესი; 11. „რქაწითელი“; 13. ვაუჩერი; 14. „მერიოტი“; 15. „ჰამლეტი“; 19. პაბი.

**თარაზულად:** 1. ქსენოფობია; 4. თამბაქო; 7. ქსილიტი; 9. ნოკაუტი; 10. გრემი; 12. გრეიდერი; 16. დისკუსია; 17. მუხიანი; 18. ბიდსტრუპი; 20. ლორნეტი; 21. მითი; 22. სერფინგი.

## ასტროპროგნოზი

13 მარტისათვის



**ვერძი** – დაღლილობა თქვენს საქმიანობაზე უარყოფითად აისახება. წვრილმან დეტალებს ნუ ჩაუღრმავდებით. **კურო** – დღე დილიდანვე დაგეგმეთ. მიზანს აუცილებლად მიაღწევთ. **ტყუპები** – ეცადეთ, საკუთარი თავის რწმენა შეინარჩუნოთ. ყველას აზრის გათვალისწინება საჭირო არ არის. **კირჩხიბი** – იღბლიანი პერიოდი გაქვთ. იაქტიურეთ. საქმიანი შეხვედრა წარმატებას გიქადით. **ლომი** – საყიდლებზე წასვლას ნუ გადადებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ქალწული** – მცდარმა რჩევამ, შესაძლოა, გავნოთ. ამიტომ გადაწყვეტილება თავად მიიღეთ. **სასწორი** – პასიური დღეა. დილით სასიცოცხლო პოტენციალი შემცირდება. საღამოს მნიშვნელოვან ინფორმაციას მიიღებთ. **ღრიანკალი** – ახალ გარემოებებთან შეგუება იოლი არ იქნება. სულიერი სიმტკიცე უნდა გამოიჩინოთ. **მშვილდოსანი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. დაეყრდენით საკუთარ ინტუიციას. **თხის რქა** – გელით მაცდური ახალი ნაცნობობა. პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **მერწყული** – ახალი ურთიერთობის დაწყება სასურველი არ არის. პლანეტები მოვლენების დაჩქარებას არ გირჩევენ. **თევზები** – მშვიდი დღეა. გულმოდგინედ იმუშავეთ. პასუხისმგებლობას ნუ გაექცევით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# „იქს ფაქტორი“ იწყება




მუსიკალური შოუ „იქს ფაქტორი“ იწყება. რიგით მეოთხე სეზონი ახალ კონკურსანტებს ეძებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ნიჭიერები არიან და „იქს ფაქტორიც“ აქვთ.

რუსთავი 2-მა უკვე ჩაატარა შესარჩევი ტურები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. „იქს ფაქტორის“ მაძიებლები ჩავიდნენ ზუგდიდში, ქუთაისში, გურჯაანში, თელავში, ბორჯომში, გორში. შესარჩევი ტურები ჩატარდა თბილისშიც.

იმისთვის, რომ მეტი კარგი კონკურსანტი მოიზიდონ, შოუს პროდიუსერებმა „იქს ფაქტორის“ ერთ-ერთ წამყვან რუსკა მაყაშვილს სპეციალური ვიდეორგოლები ჩააწერინეს, სადაც სხვადასხვა სიმღერაზე პერფორმანსები დადგა. რუსკამ იმღერა როგორც კლასიკა, ასევე ჯაზი, როკი, რეპი და მსურველებს „იქს ფაქტორში“ მონაწილეობისკენ მოუწოდა.

რუსკას ვიდეორგოლები ინტერნეტში დიდი პოპულარობით სარგებლობს. უმრავლესობა აცხადებს, რომ შოუს დაწყებას მოუთმენლად ელიან.

„იქს ფაქტორის“ სამი სეზონის განმავლობაში სამჯერვე გამარჯვებული ბიჭი გახდა – თორნიკე ყიფიანი, გიორგი ნაკაშიძე და ავთო აბესლამიძე. პროექტის გულშემატკივრები იმედოვნებენ, რომ მეოთხე სეზონის გამარჯვებული გოგო იქნება.

რაც შეეხება შოუს წამყვანებსა და ჟიურის წევრებს, პროდიუსერების განცხადებით, ჯერჯერობით მათი ვინაობა უცნობია.

# რომა რცხილაძის „ნატვრის ხე“ პანტომიმაში გაცოცხლდება




რომა რცხილაძის სიმღერა „ნატვრის ხე“ მისი შემოქმედების სავიზიტო ბარათია. სიმღერა, რომელიც წლებია, მსმენელში დიდი პოპულარობით სარგებლობს, რეჟისორ დავით შალიკაშვილის მუზად იქცა და მან პანტომიმის თეატრის მსახიობებთან ერთად სიმღერაზე სპექტაკლის დადგმა დაიწყო.

რეპეტიციები უკვე დასკვნით ეტაპზეა. დასი პრემიერისთვის ემზადება. პირველ აპრილს თბილისის ივენთ ჰოლში მისულ მსმენელს საშუალება ექნება, სპექტაკლი რომა რცხილაძის ცოცხალი შესრულებით, ნინო ლორთქიფანიძის ქორეოგრაფიითა და დავით სანიკიძის მუსიკით იხილოს.

თბილისში წარმოდგენილი კომპოზიცია იქნება პირველი მსოფლიოში, სადაც იქნება ცოცხალი შესრულება და პანტომიმის სინთეზი. მოქმედება ხდება ასტრალში, მესამე განზომილებაში, ოცნებების ასრულება, ფანტასტიკური ცხოვრება, საოცრება. მთელი შინაარსის აღქმას იძლევა თვითონ სპექტაკლის სახელწოდება – „ნატვრის ხე“.

# ჭაბუკა ამირანაშვილმა ჯვარი დაიწერა



მუსიკოსმა და ჯგუფ „ბანის“ პროდიუსერმა ჭაბუკა ამირანაშვილმა ჯვარი დაიწერა. მან თავისი ცხოვრების თანამგზავრს ნათია კუდაშვილს უფლის წინაშე ერთგულება შეჰფიცა.

ჯვრისწერა მუსიკოსმა მეგობრებისა და ოჯახის წევრების ვიწრო წრეში აღნიშნა. მისი და მისი მეუღლის მეჯვარეები უახლოესი მეგობრები იყვნენ.

ჯვრისწერის ფოტოები სოციალურ ქსელში გავრცელდა. ბატონი ჭაბუკასა და ქალბატონი ნათიას ფოტოებს უამრავი მოწონება აქვს. მეგობრები და ნაცნობები მათ დიდხანს ერთად ყოფნასა და ბედნიერად ცხოვრებას უსურვებენ.

# ინგა ფერაძის სახელით ინტერნეტში ფულს აგროვებენ



მომღერალ ინგა ფერაძის სახელით ინტერნეტში ფულს აგროვებენ. ბელგიაში მცხოვრებმა ქართველმა მომღერალმა ამ ფაქტის შესახებ სრულიად შემთხვევით გაიგო. მის მეგობრებსა და ახლობლებს უცნობი პირები თანხას სთხოვენ.

ინფორმაცია ამის შესახებ სოციალურ ქსელში ინგა ფერაძის მეგობარმა მარინე არონაშვილმა გაავრცელა:

– მეგობრებო, ნაცნობო თუ უცნობო ქართველო მომღერლებო, მსახიობებო, კომპოზიტორებო და ხელოვნებაში მოღვაწე ადამიანებო!

მინდა, ყველას გაცნობოთ და გთხოვთ, შემდეგ გააზიაროთ ეს პოსტი ჩვენი ყველასათვის საყვარელი მომღერლის, ქალბატონი ინგა ფერაძის თხოვნით!

ინტერნეტსივრცეში გავრცელდა და ვრცელდება თხოვნა მატერიალურ დახმარებაზე ქალბატონი ინგას სახელით, რომელიც ამჟამად ბელგიაში ცხოვრობს!

არავითარი თხოვნა ასეთი დახმარების შესახებ ქალბატონ ინგას არ დაუწერია, არ გამოუქვეყნებია და არც უთხოვია!

გთხოვთ, ყველამ გაითვალისწინოთ ეს განცხადება და არ მოტყუვდეთ, არავითარი ფული არ გადასცეთ არავის!

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ამ განცხადებას ვწერ ქალბატონი ინგას თხოვნით და მოგიწოდებთ, გაავრცელოთ!

# ლაშა ბაქრაძემ ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილი გამოაქვეყნა



ლიტერატურული მუზეუმის ხელმძღვანელმა ლაშა ბაქრაძემ ილია ჭავჭავაძის აქამდე უცნობი წერილი გაასაჯაროვა.

წერილი საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავის აღნიშვნას ეძღვნება, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძემ ჩაიწერა.

აი, რას წერს ილია ჭავჭავაძე:

– მე კერძოდ წინააღმდეგი ვარ ასეთის დღესასწაულის გადახდის, 40 წლის განმავლობაში, მე სულ იმ აზრის ვიყავ, რომ საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირება იყო თვით ქართველი ერის სიკვდილი. 40 წლის განმავლობაში ამას ვფიქრობდი, ამას ვემსახურებოდი, ამას ვაკეთებდი როგორც სიტყვით, ისევე კალმით. ეხლა თქვენ მეუბნებით, რომ 40 წლის განმავლობაში თქვენი ნაფიქრ-ნალაღადევი უარ ჰყავით და ასე უცბად ჩვენს განძრახვას დაემორჩილეთო. არა, მე ჩემი 40 წლის ნამაგდარი შეხედულება უარი ვერ ვყავი, გაუმეორე კვალად: მე ასე ვფიქრობ მეთქი და ამიტომ თქვენც გირჩევთ, რომ ამ აზრის იყვნეთ და ჩვენი სიკვდილის ასის წლის თავს ნუ ვიდღესასწაულებთ მეთქი, მათ არ ქმნეს. მე კიდევ უარი ვსთქვი: მე არ თანაუგრძნობ თქვენს განძრახვას და ამიტომ მშვიდობით ბრძანდებოდეთ. მე ჩემთვის, თქვენ თქვენთვის.

პ.ს. ეს სიტყვა ილია ჭავჭავაძემ 1900 წელს თქვა და 1901-შიც იგივე გაიმეორა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

სპორტი

# პლეი ოფის მეოთხე საგზურისთვის ბრძოლა დაიძაბა



საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგაში 3 წრე მიილია და გარკვეული მხოლოდ ის არის, რომ პლეი ოფში აუცილებლად ითამაშებს თბილისის დინამო. დედაქალაქელები იმხელა უპირატესობით იგებენ რეგულარულ სეზონს, რომ პლეი ოფში ყველგან მასპინძლის უპირატესობა ექნება. ფაქტობრივად, იგივე ითქმის ქუთაისზეც, რომელიც დარჩენილი 7 ტურში 6 მოგებით უსწრებს კონკურენტებს მეტიც, იმერული კლუბი, სავარაუდოდ, მე-2 ადგილით გავა მედლებისთვის ბრძოლაში. კარგი შანსი აქვთ რუსთაველებსაც – ისინი 3 მოგებით სჯობნიან მეოთხეადგილოსანს. აი, ერთი საგზურისთვის კი დაძაბული ბრძოლებია მოსალოდნელი.

**ქუთაისი-დინამო 78:90**
**(16:30, 28:15, 11:19, 23:26)**

მე-3 წრის ცენტრალურ მატჩს ქუთაისმა უმასპინძლა. ერთმანეთს სუპერლიგის ლიდერები – დინამო და ქუთაისი დაუპირისპირდნენ. მატჩი საკმაოდ თანაბარი, დაძაბული და საინტერესო გამოდგა, რომელსაც ისეთი ფინალი აღმოაჩნდა, რასაც ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის სპორტის სასახლეში შეკრებილი მაყურებელი ნამდვილად არ ელოდა.

თუ არ ჩავთვლით პირველ მეოთხედს, რომელიც დინამომ 30:14 მოიგო, თითქმის მთელი შეხვედრა თანაბრად მიმდინარეობდა. არაერთხელ დაფიქსირდა თანაბარი ანგარიში და როცა შეხვედრის დასრულებამდე 2:35 წუთით ადრე ზაურ ფაშაევის მიჯრით მითვლილი 6 ქულის შემდეგ ანგარიში 75:75 გახდა, ყველა დაძაბული ფინალის მოლოდინში იყო.

სწორედ ამის შემდეგ მატჩის ბედი მალევე გაირკვა. წუთშესვენების შემდეგ დინამოელები ისე შედეგიანად ათამაშდნენ, რომ გამარჯვება გაინაღდეს. ამერიკელმა დეონტა ვონმა სამქულიანი, შემდეგ კი ორიანი მიითვალა, რასაც მიხეილ ბერიშვილმა ზუსტი შორი სროლაც მოაყოლა და მატჩის დასრულებამდე 1:30 წუთით ადრე დინამოელები 83:75 დაწინაურდნენ. ყველაფერს წერტილი იმავე ვონმა დაუსვა, რომელმაც მორიგი სამქულიანით ანგარიში 86:75 გახადა და თბილისელებს გამარჯვება გაუნაღდა.

საბოლოოდ დინამომ 90:78 მოიგო და სუპერლიგის ლიდერობა გაიმყარა. თბილისელები მეცვარ ქუთაისს უკვე 5 ქულით უსწრებენ და ამ სხვაობის აღმოფხვრა რეგულარულ ჩემპიონატში დარჩენილ 7 ტურში არსებული რეალობით ფაქტობრივად შეუძლებელია.

დინამოს დეონტა ვონმა ულიდერა, რომელმაც 22 ქულა და 8 პასი მიითვალა. 19 ქულა დააგროვა ლევან ფაცაცამ, 18 – ნიკოლა მარავიჩმა, ხოლო მიხეილ ბერიშვილის ანგარიშზე 16 ქულა დაგროვდა.

ქუთაისში 19 ქულით ყველაზე შედეგიანი გიორგი ცინცაძე გახლდათ. 14 ქულა ზაურ ფაშაევმა მოაგროვა, ხოლო აკაკი ლომოურმა მასპინძლებს 12 ქულა მიაშველა.

**ბათუმი-ოლიმპი 74:83**
**(16:21, 15:16, 29:28, 14:18)**

ორივე გუნდისთვის შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მათ შორის ცხრილში სხვაობა მხოლოდ 1 წაგება იყო. ოლიმპელებმა ამ გამარჯვებით აჭარელებს მოგებ-წაგებებით გაუთანაბრდნენ, თუმცა ბათუმში წინა სტუმრობისას მატჩის დროის ამოწურვამდე დატოვების გამო ჩათვლილი ტექნიკური წაგების გამო ცხრილში 1 ქულა აკლიათ.

რაც შეეხება მატჩს, ოლიმპმა ბრძოლაში, თუმცა ზედმეტი გართულებების გარეშე იმარჯვა. თბილისელებს ამერიკელმა ლეგიონერმა, ტრე ბურნეთმა ულიდერა, რომელმაც 28 ქულასთან ერთად 13 მოხსნაც მოაგროვა. 20 ქულა რეზო როგავას ანგარიშზეა, ირაკლი მიქელაძის ანგარიშზე კი 14 ქულა და 9 შედეგიანი გადაცემა დაგროვდა. ბათუმს კვლავ აკლდა ამერიკელი ცენტრი კრის ფელჩერი, საუკეთესო კი 25 ქულით ილია შემოსიყუა გახდა.

**მგზავრები-სოხუმი 77:65**
**(18:18, 21:20, 24:10, 14:17)**

ცხრილის ბოლო ადგილზე მყოფმა მგზავრებმა, რომლებიც სუპერლიგაში დასარჩენად იბრძვის, პლეი ოფის ზონაში მყოფი სოხუმი დაამარცხა.

მხოლოდ პირველი ტაიმი იყო საკმარისად დაძაბული. დიდი შესვენებისთვის მგზავრები მხოლოდ 1 ქულას იგებდნენ, თუმცა მესამე პერიოდისა და მათი სპურტის დაწყება ერთმანეთს დაემთხვა. ცხრილის აუტსაიდერებმა გაქცევა მოაწყვეს და 4-წუთიანი მონაკვეთი 21:4 მოიგეს და მგზავრები 60:42 დაწინაურდა და მატჩის დასრულებამდე დარჩენილ 15 წუთში მეტო ახლოს აღარ მიუკარებია.

საბოლოოდ კი, მგზავრებმა 77:65 იმარჯვა, რაშიც სოლიდური წილი 24 ქულით კაშიმ რენსომმა დაიდო. 20 ქულა და 7 მოხსნა მოაგროვა კორი ალენმა, ხოლო ოთარ ფხაკაძის ანგარიშზე 14 ქულა, 7 მოხსნა და 5 პასი დაგროვდა. „სოხუმში“ 21 ქულით და 10 მოხსნით საუკეთესო იყო დუეინ ლათანი.

**კაკტუსი-რუსთავი 75:89**
**(12:24, 19:27, 23:24, 21:14)**

ცხრილში მე-3 ადგილზე მყოფმა რუსთავმა საკმაოდ იოლად დაამარცხა კაკტუსი, რის შემდეგ თავად ხომ ადგილი გაიმყარა, თბილისური გუნდი აუტსაიდერებს მიაახლოვა.

დიდი მცდელობის მიუხედავად, კაკტუსელებმა ვერაფერი გააწყვეს: რუსთავის კალათბურთელებმა თავიდანვე შედეგიანი თამაში აჩვენეს, როცა პირველი პერიოდი 24:12, ხოლო მეორე – 19:27 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 20-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ.

ვითარების გამოსასწორებლად კაკტუსს საკმარისი დრო – მთელი მეორე ნახევარი ჰქონდა, მაგრამ რუსთაველებმა მესამე პერიოდიც ძლიერად ჩაატარეს და ლიდერობას 1 ქულა წაუმატეს. ბოლო 10-წუთეულში 21 ქულის გაბათილება საგმირო საქმე გახლავთ, რაც კაკტუსის მოთამაშეებმა ვერ შეძლეს და რუსთაველებმა მორიგი გამარჯვება მიითვალეს.

18 ქულით ქვემოქართლელებს ტონი სპანოლომ ულიდერა, მეორე ამერიკელმა – მორის ბრიგსმა კი 17 ქულა ჩააგდო. 17 ქულა დაგროვდა სერგო ათუაშვილის ანგარიშზეც. კაკტუსში 13 ქულა და 10 მოხსნა ორმა მოთამაშემ – ტერიკ ბრიჯმენმა და ჯონ ფლორვეუსმა მიითვალეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 21 | 20 | 1 | 1859-1504 | 41 |
| 2.ქუთაისი | 21 | 15 | 6 | 1690-1582 | 36 |
| 3.რუსთავი | 21 | 12 | 9 | 1661-1666 | 33 |
| 4.სოხუმი | 21 | 9 | 12 | 1742-1781 | 30 |
| 5.კაკტუსი | 21 | 8 | 13 | 1644-1803 | 29 |
| 6.ბათუმი | 21 | 7 | 14 | 1597-1678 | 28 |
| 7.ოლიმპი | 21 | 7 | 14 | 1503-1558 | 27 |
| 8.მგზავრები | 21 | 6 | 15 | 1555-1679 | 27 |

შენიშვნა: ოლიმპს დაკლებული აქვს 1 ქულა

**მოამზადა მიხეილ ყორყოლაძემ**

# პროგრამა

ორშაბათი
13 მარტი

**07.00** დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერი – დიდი ბრიტანეთი" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "წიგნების თარო" **15.00, 03.00** "X სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **23.20** მხ/ფ "**მუზა**" (ე.მაკდაუელი) **01.00** მხ/ფ "**შუგარლენდის ექსპრესი**" (გ.ჰოუნი)

**08.00** დ/ფ "ლუტიცია და მისი მგლები" **09.00** დ/ფ "ევროპის შუაგულში" **10.00** დ/ფ "ყალმუხეთის ბუდისტი ბერები" **11.00** დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ანატოლიის გარგარი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია** " **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**ანდერგრაუნდი. ჯულიან ასანჟის ისტორია**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ჯემალ და გია ბაღაშვილების ვარსკვლავის გახსნა **23.30** სერ. "**აგენტურა**" 7-8 სერ. **01.30** მხ/ფ "**დიდი ოსტატი**" **03.45** მხ/ფ "**მკვლელობის უფლება**"

**06.00, 16.55** სერ. "**ოქროს გალია**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00 23.30** მხ/ფ, კურიერის დაიჯესტი მხ/ფ

**08.00** ან/სერ. "ავატარი" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**სიმართლის ანატომია**" **15.00** სერ. "**სასტუმრო, სეზონი**" **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **21.00** მხ/ფ "**ტკბილი ნოემბერი**" **23.20** მხ/ფ "**იღბლიანი**" **01.40** მხ/ფ "**ამბავი ჩვენს შესახებ**"

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** დ/ფ "ფუტკრის დუმილი" **13.00** წმინდა ათონის მთა **13.10** საღვთისმსახურო წელიწადი-დეკანოზი თეიმურაზ თათარაშვილი **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** თბილისის ტაძრები "ლურჯი მონასტერი" **15.10** ქართული ან/ფ **15.30** სპექტაკლი "**ასერგასის დღე**" **17.20** დ/ფ "ველური ბუნება" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-მრწამსის განმარტება **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.30** ერთი წვეთი **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **19.25** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება-გიორგი გვასალია **20.40** ძილი ნებისა "შვიდფერა ყვავილი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** ჩვენი ფონდი "წმ. ბასილ დიდი, წმ.გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმ. ათანასე დიდი" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი "ოთხთა და ოშკი" **01.00** სათავეებთან "რევაზ თვარაძე" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.30** ან/ფ "მაშა და დათვი" **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** [illegible] **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 20.55** სერ. "**ეკორიჯა**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** სერ. "**ბეში**" **23.15** სერ. "**იმპერია**" **1.30** "კონტაქტი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 მარტისთვის

აშშ დოლარი — 2.5111

ევრო — 2.6650

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0540

100 რუსული რუბლი — 4.2481

## ამინდის პროგნოზი 13 მარტისთვის





**10 მარტიდან**

**120 ამბავი ალექსანდრე მაკედონელი**




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**13 მარტიდან**

ეკა ჩიხლაძე

**დასახვრეტი საქმე**




წიგნში საბჭოთა საქართველოს მიერ საქმის ორგანიზატორად შერაცხული და დახვრეტილი ბერი თეოდორეს ქალიშვილი, ეკა ჩიხლაძე მოგვითხრობს თვითმფრინავის ბიჭების შესახებ, რომელთა ქმედებისა და დასჯის მიმართ დღემდე რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს.

წიგნში გაეცნობით „შავი ყუთის" შიფროგრამას, თვითმფრინავის სქემას, ფოტოებს და სხვა.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


## ბრაზილიელი პენსიონერი ფუტკრებმა მოკლეს



ბრაზილიის მუნიციპალიტეტ პრეზიდენტ-ოლეგარიუში პენსიონერი ქალბატონი მას შემდეგ დაიღუპა, რაც მას 500-ზე მეტმა ფუტკარმა უკბინა.

84 წლის დივინუ ამბროზიო დე ხესუსს ფუტკრების გუნდი დაესხა თავს, როდესაც ის ტყეში, საკუთარი სახლის მახლობლად ხავსს აგროვებდა. ამ დროს ქალმა შემთხვევით ფუტკრების ოჯახი შეაწუხა.

დაზარალებული ფუტკრების თავდასხმის დროს შენიშნეს. თვითმხილველმა სამაშველო სამსახური გამოიძახა. სამწუხაროდ, მათ 30 წუთის განმავლობაში ვერ მოახერხეს პენსიონერი დახმარება, სანამ მწერები არ გაჩდევნეს. ის საავადმყოფოში მეორე დღეს მიღებული ტრავმების შედეგად გარდაიცვალა.

## ოჰაიოში ძლიერმა ქარმა ბავშვი ჰაერში ასწია

ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ ლინდჰერსტში ოთხი წლის გოგონა ძლიერმა ქარმა ჰაერში აიტაცა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი სათვალთვალო კამერამ გადაიღო და ის ბავშვის დედამ ბრიტანი გარდნერმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.



ვიდეოჩანაწერზე ჩანს, მანქანით დედასთან ერთად სახლთან მისული გოგონა როგორ მიდის კართან. ამ მომენტში ძლიერმა ქარმა კარი გააღო, ხოლო მის სახელურს ჩაჭიდებული ბავშვი ჰაერში ასწია.

ბავშვის დედის თქმით, მისი გოგონა ქარმა მხოლოდ იმის წყალობით ვერ გაიტაცა, რომ ის სახელურს მაგრად ჩაეჭიდა. ამ შემთხვევის შედეგად ბავშვი არ დაშავებულა და ახლა მშობლებთან ერთად სიცილით იხსენებს მომხდარს. მათ ერთად მოიფიქრეს, ვიდეორგოლისთვის ხმოვან გაფორმებად ფრენკ სინატრას სიმღერა „ჩემთან ერთად იფრინე" გამოეყენებინათ.

## ავსტრალიელმა საკუთარი მოსვირინგებული სხეული არტობიექტად აქცია



ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში მცხოვრებმა გოგონამ 20 ათასზე მეტი ავსტრალიური დოლარი (15 ათასი ამერიკული დოლარი) დახარჯა საკუთარი სხეულის მოსვირინგებაზე და ის ხელოვნების ნაწარმოებად აქცია.

სამერ მაკინერნიმ სვირინგის ოსტატებთან სიარული 2015 წლის ივლისიდან დაიწყო. მას შემდეგ გოგონამ ტატუს სალონებში დაახლოებით 127 საათი გაატარა და სხეულის უდიდესი ნაწილი სხვადასხვა სურათით მოიხატა. აღსანიშნავია, რომ ავსტრალიელმა სვირინგები გაიკეთა მარჯვენა ხელზე, მკერდზე, მუცელზე, მარჯვენა ფეხზე და ა.შ.

– მსურდა, საკუთარი სხეული უნიკალურად მექცია, – განაცხადა გოგონამ.

ახლა 23 წლის მაკინერნის მისი სვირინგების გამო ფოტოგრაფები და გამოცემები გადაღებებზე იწვევენ. ასევე გოგონამ პოპულარობა მოიპოვა ინსტაგრამში. მის გვერდს სოციალურ ქსელში 30,9 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



●●●

მამა შვილს ჭკუას არიგებს:

– იმისთვის, რომ ცხოვრებაში წარმატებას მიაღწიო, რაიმეს გაკეთება სხვებზე უკეთ უნდა შეგეძლოს. ასეთია წარმატების ფორმულა.

– სხვებზე უკეთ არაფრის კეთება არ წავა?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რამდენია განსხვავება დროში თბილისსა და ტოკიოს შორის?

– ზუსტად ვერ გეტყვი, მაგრამ რამდენიმე ასწლეული ნამდვილად იქნება.

●●●

ჟურნალისტი ინტერვიუს იღებს ერთ-ერთი დაწესებულების თანამშრომლისგან და ეკითხება:

– თქვენი გენერალური დირექტორი დღეს მთვრალია?

– არა, ის საერთოდ არ სვამს.

– და თავის მდივანს ხშირად სთხოვს სექსს?

– რას ამბობთ?! მდივანი მხოლოდ მისი თანამდებობიდან საქმიანი თვისებების გათვალისწინებით შეარჩია.

– დღევანდელ ამინდზე რას იტყოდით?

– საოცარი დღეა! სითბოა, მზე ანათებს, ჩიტები ჭიკჭიკებენ...

მეორე დღეს გამოქვეყნდა:

„დღეს საოცარი დღეა: გენერალური დირექტორი სამსახურში ფხიზელი მოვიდა და მდივნისთვის სექსი არ მოუთხოვია".

●●●

ქმარი სააბაზანოში ბავშვს აბანავებს და ცოლს ეძახის:

– ლელა, ბავშვი ქაფს ჭამს!

ორი წუთის შემდეგ:

– ლელა, მართლაც კარგი გემო აქვს!

●●●

ექიმი პაციენტ ქალს ეუბნება:

– მე დაჟინებით გირჩევთ, ცხოვრების აქტიურ სტილზე გადახვიდეთ.

– ექიმო, სქესობრივი აქტიურობა გამოდგება?

– ვფიქრობ, გამოდგება.

– მაშინ, მზად ვარ, ახლავე დავიწყო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## ქართველმა მორაგბეებმა რუსებს 28:14 მოუგეს



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა „დინამო არენას" სტადიონზე რუსეთის ნაკრები ანგარიშით 28:14 დაამარცხა.

„ბორჯღალოსნებმა" რაგბის ევროპის ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩში ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იზეიმეს.

„ბორჯღალოსნებმა" ანგარიშის გახსნა მალევე, მე-4 წუთზე შეძლეს. ლელოს დამიწება გიორგი კოშაძემ მოახერხა, რომელმაც ნაკრებში ჩატარებულ მეოთხე შეხვედრაში უკვე მეოთხე ლელო მიითვალა.

მერაბ კვირიკაშვილმა მახვილი კუთხიდან გარდასახვა ზუსტად შეასრულა და ანგარიში 7:0 გახადა.

26-ე წუთზე საქართველომ კიდევ ერთი ლელოს დადება მოახერხა. მერაბ კვირიკაშვილმა ულამაზესი სოლო რეიდის შემდეგ, სადაც რამდენიმე რუსი მორაგბე ჩამოიტოვა, პასი ვასილ ლობჟანიძეს მისცა, რომელსაც ლელოს დამიწება არ გასჭირვებია, კვირიკაშვილმა კი გარდასახვა კვლავ ზუსტად შეასრულა – 14:0.

ტაიმის მიწურულს რუსებს სხვაობის შემცირება შეეძლოთ, თუმცა ჯარიმა არაზუსტად შეასრულეს.

საბოლოოდ ტაიმი „ბორჯღალოსნების" გამარჯვებით 14:0 დასრულდა.

50-ე წუთზე ვასილ ლობჟანიძემ უკვე მეორე ლელო მიითვალა, რასაც კვირიკაშვილმა გარდასახვით 2 ქულა დაუმატა და ანგარიში 21:0 გახადა.

52-ე წუთზე უსიამოვნო ფაქტი მოხდა – მამუკა გორგოძესა და რუს მორაგებს შორის მცირე ინციდენტი დაფიქსირდა, თუმცა მალევე განიმუხტა.

55-ე წუთზე რუსებმაც შეძლეს ლელოს დადება. 5 ქულა იური კუშნაროვმა ჩაიწერა. რუსებმა გარდასახვაც ზუსტად შეასრულეს – 21:7.

58-ე წუთზე კვირიკაშვილს სხვაობის გაზრდა შეეძლო, თუმცა ჯარიმა ვერ გაიტანა.

67-ე წუთზე კი დავით კაჭარავამ ჩაიწერა ლელო საკუთარ ანგარიშზე. კვირიკაშვილს ამჯერად სიზუსტემ არ უმტყუნა – 28:7.

75-ე წუთზე რუსებმა მეორე ლელოს დადება შეძლეს და გარდასახვაც გაიტანეს – 28:14.

საბოლოოდ საქართველომ რუსეთი ანგარიშით 28:14 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრებს რუსეთის გუნდთან აქამდე 20-ჯერ უთამაშია.

18 მატჩში ქართველებმა მოიგეს, ერთი ფრედ დასრულდა, ერთშიც გამარჯვება რუსებს დარჩათ 1993 წელს.

## ფაჩულიას ორმაგი დუბლი სან ანტონიოში



ნბა-ს 2 ლიდერის მატჩს სან ანტონიომ უმასპინძლა, მაგრამ შოუ არ შედგა: მასპინძელმა სპურსმა გოლდენ სტეიტს იოლად – 107:85 მოუგო მატჩი, რომელშიც გუნდებს წამყვანი მოთამაშეების უმეტესობა აკლდათ.

გოლდენ სტეიტმა, ტრავმირებული დიურანტის გარდა, სტეფ კარი, კლეი ტომპსონი, დრეიმონდ გრინი და ანდრე იგუდალა მოისაკლისა, რომლებიც გუნდის ხელმძღვანელობამ დაასვენა. სან ანტონიოს კი მთავარი ვარსკვლავი კავაი ლეონარდი ტრავმის გამო გამოაკლდა, ასევე არ ითამაშეს ტონი პარკერმა, ლამარკუს ოლდრიჯმა და დეონტე მიურეიმ.

ზაზა ფაჩულია სტუმართაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ქართველი ორივე გუნდის შემადგენლობაში იყო ერთადერთი, რომელმაც ორმაგი დუბლი შეასრულა. ფაჩულიასთვის ეს გახლდათ მიმდინარე სეზონის მე-3 ორმაგი დუბლი.

ოკლენდელთა ქართველმა ცენტრმა სასტარტო ხუთეულში დაიწყო თამაში და მოედანზე 20 წუთი გაატარა. ზაზამ 9-დან 4 ორქულიანი და 5-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. მოგროვებულ 11 ქულას მან 12 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაყოლა.

სან ანტონიო წაგებებით გაუთანაბრდა გოლდენ სტეიტს, რომელიც მომდევნო მატჩს ფილადელფიაში გამართავს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. რვიანის ფორმის ფუნთუშა; 7. ქვემეხი დახრილი ტრაექტორიით სროლისთვის; 8. ქრომის მინერალური საღებავი; 9. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში; 10. სოფელი ყვარლის რაიონში; 13. შოტლანდიური ვისკი; 15. რისამე საზომი, ნიშან-თვისება; 18. სინათლის ძალის ერთეული; 20. სწორის აღმნიშვნელი წინსართი; 21. ხეებზე გასაბმელი ნაქსოვი საწოლი; 23. ატომგულის გამოსაკვლევი დანადგარი; 24. მოედანი სასწავლო-საწვრთნელი სროლისთვის.

**შვეულად:** 1. ენათმეცნიერების ნაწილი; 2. მიწის ფართობის საზომი ერთეული; 3. საგნის დასამაგრებელი ხელსაწყო მისი დამუშავების დროს; 4. პერიოდულად შრობადი მდინარე ან ნაკადული ავსტრალიაში; 5. მცირე ხმა; 11. ქცევის თავისებურება; 12. სამელექტროდიანი ელექტრონმილაკი; 14. ვიოლინოზე დიდი ოთხსიმიანი საკრავი; 16. აშშ-ის მეორმოცე პრეზიდენტი; 17. უმაღლესი (მილოვანი) მცენარეების სხეული უფესვებოდ; 19. გერმანელი მწერალი (1729-1781); 21. იაპონური ავტომარკა; 22. მღვდელი საფრანგეთში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

